ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 8 – 9 დეკემბერი, 2018

№291 (7836)

ფასი: 60 თეთრი

ზუგდიდში პოლიციელ ალექსანდრე ჩიქოვანის ცხედარი იპოვეს

გვ. 7

„ბიძინა ივანიშვილმა ბრძოლა გამოუცხადა სალომე ზურაბიშვილს და ხარჯები შეუმცირა“

გვ.3

„ქართული ოცნება“ ამ წუთასაც უშვებს შეცდომას, როდესაც ტოვებს იმის შანსს, რომ შემდეგ, არჩევნების შედეგად, შეიძლება თვითონ, შეიძლება სხვა მოვიდეს კონსტიტუციური უმრავლესობით.

რომან გოცირიძე: „დრო გვიჩვენებს, იქნება თუ არა სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი“

გვ.4

გვ.2

„ივანიშვილი ან შეცვლის სიტუაციას, ან თავად დასრულდება პოლიტიკურად“

„ფაქტები მაქვს, როგორ აძლევდნენ გრიგოლ ვაშაძეს ხმას „ოცნების“ ჩინოსნები“

გვ.4

ვახტანგ ძაბირაძე: „ინაუგურაციის თელავში გამართვა შეცდომაა“

ჩაიშლება თუ არა ზურაბიშვილის ინაუგურაცია

გვ.3

გაერთიანებული ოპოზიცია 16 დეკემბერს თელავში აქციას გამართავს

ოკუპირებულ აფხაზეთში „საპრეზიდენტო“ არჩევნების გადმოწევას სოხუმის საკრებულოშიც მოითხოვენ

გვ.5

ეკონომიკა

გვ.6

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის იანვარში დახურვის გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული — სამი მოთხოვნა მთავრობას

პანორამა თბილისის დამაკავშირებელი საბაგიროს მშენებლობაზე ბიძინა ივანიშვილის ფონდი 10 მლნ აშშ დოლარს დახარჯავს

ზამთრის სეზონს ზემო სვანეთი წელსაც წყლის, ელექტროენერგიის, გზებისა და ამბულატორიების პრობლემებით ხვდება

„თიბისი ბანკში“ პრობლემური სესხების რაოდენობა 120 მლნ ლარია

ISSN 1987-9385

5 კახა კუკავა: „პოლიტიკური რვიანი უნდა აღდგეს. ეს ახალ წლამდე გაირკვევა“

7 მინდია გოგოჭურს ბრალი წაუყენეს
ადვოკატები პოლიტიკურ მოტივზე ალაპარაკდნენ

5 დუნდუა: „სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლის გადავადების გადაწყვეტილება მთავრობამ მიიღო“

2 ირაკლი კოვზანაძე: „ბიუჯეტის საბოლოო ვერსია არსებულ მოთხოვნებს პასუხობს“

„ივანიშვილი ან შეცვლის სიტუაციას, ან თავად დასრულდება პოლიტიკურად“

„ფაქტები მაქვს, როგორ აძლევდნენ გრიგოლ ვაშაძეს ხმას „ოცნების“ ჩინოსნები“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არ მისცა ივანიშვილმა „ოცნების“ წევრებს ზეიმის უფლება, რა პასუხისმგებლობა აიღო მან საკუთარ თავზე, როდის დასრულდებიან ნაცები და ქოცები? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.

— „ოცნება“ არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის სამზადისშია, გაერთიანებული ოპოზიცია შედეგებს არ აღიარებს. ქვეყანა ფაქტიურად ორად გაიყო. ეს ამბავი ცუდად ხომ არ დამთავრდება?

— ეს ამბავი აუცილებლად დასრულდება. რაც შეეხება ქვეყნის ორად გაყოფას, ეს ახლა არ მომხდარა. საქართველო აქამდეც ორად იყო გახლეჩილი. იმის თქმა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები მკვეთრი პოლარიზების პირობებში ჩატარდა, სპეკულაციაა და მეტი არაფერი. მკვეთრი პოლარიზება არსებობდა, არსებობს და მომავალშიც არსებობდა.

ამბობენ, რომ ეს არჩევნები აგრესიულობით იყო გამორჩეული. ვერც ამ მოსაზრებას გავიზიარებ. საქართველოში გინახავთ არჩევნები, რომლებიც აგრესიის გარეშე ჩატარდა?!

ყველა არჩევნები აგრესიის ფონზე ტარდებოდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები, მაშინ ქართველმა ერმა ყოველგვარი აგრესიის გარეშე დაამარცხა კომუნისტური პარტია.

— ეს არჩევნები მართლაც დემოკრატიულად და აგრესიის გარეშე ჩატარდა, მაგრამ არჩევნებიდან ერთი წლის და ორი თვის თავზე კანონიერი ხელისუფლება დაამხეს.

— გამსახურდიას ხელისუფლება კრემლმა და საქართველოში მისმა აგენტურამ დაამხო. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ მაშინ საქართველოში სამოქალაქო ომი იყო.

— აბა რა იყო ის, რაც რუსთაველზე დაიწყო და შემდეგ სამეგრელოში გაგრძელდა?

— ეს სამოქალაქო ომი არ ყოფილა. ეს გამსახურდიას და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ კრემლის მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია იყო.

კრემლის მიერ მაშინ დაწყებული სპეცოპერაცია დღემდე დამთავრებული არ არის. ამ სპეცოპერაციის შედეგია, რაც დღეს ქართველებს გვჭირს. კრემლის სპეცოპერაციის შედეგად ჩაეყარა საქართველოში საფუძველი აგრესიას და დაპირისპირებას. ქვეყნის ორად გაყოფაც იქიდან მოდის.

კრემლთან ერთად ამ სპეცოპერაციის ავტორები ახლა ხმამაღლა ღაღადებენ — არა ბოროტებას.

— ვის ზე საუბრობთ?

— პერსონიფიცირებას არ ვაპირებ. ეს ხალხი თავად იდგა ბოროტების მხარეს. უკვალოდ არაფერი არ იკარგება.

— პერსონიფიცირებას არც მე დავიწყებ, მაგრამ ის ხალხი, ვინც ახლა ბოროტებას გმობს და გასული საუკუნის 90-იანებში ბოროტების მხარეს იყო, ნაციონალებშიც მრავლად არის და „ოცნებაშიც“.

— ეგენი ყველგან არიან. ეს ის ხალხია, ვინც აგრესიას და ბოროტებას ედგა სათავეში და ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ აგრესია დაუშვებელია. ეს ხალხი ძალიან აგრესიულად ებრძოდა ქვეყნის პირველ პრეზიდენტს და დამოუკიდებლობას.

— ამბობთ, რომ საქართველო დიდი ხანია ორად არის გაყოფილი. ეს გაყოფა სამოქალაქო დაპირისპირებით ხომ არ დასრულდება?

— ამ ეტაპზე ყოველგვარ სამოქალაქო დაპირისპირებას გამოვრიცხავ. ახლა ამის ნიშნები ნამდვილად არ არის. ოპოზიციას არანაირი შანსი არა აქვს საიმისოდ, რომ არსებული სიტუაცია სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანოს.

დაპირისპირებაზე საუბარი უფრო პიარის სფეროა, ვიდრე რეალობასთან ახლოს დგომა. ოპოზიციას სამოქალაქო დაპირისპირების თავი არა აქვს.

— იქნებ ჭკუა აქვთ და ამიტომ არ წავლენ დაპირისპირებაზე?

— ჭკუის რა მოგახსენოთ. მათი ლიდერის ჭკუაზე კარგს ვერაფერს გეტყვით. მე ის ვიცი, რომ ოპოზიციას დაპირისპირების თავი არა აქვს.

— მეორე მხარეზე რას იტყვით, მათ ხომ აქვთ იმის თავი, რომ სამოქალაქო დაპირისპირება მოაწყონ?

— თავი შეიძლება აქვთ, მაგრამ სამოქალაქო დაპირისპირებაზე არავითარ შემთხვევაში არ წავლენ. მათ საპრეზიდენტო არჩევნებზე ძალიან მწარე მაგალითი მიიღეს — მისმა უდიდებულესობა ქართველმა ხალხმა პირველ ტურში სილა გააწნა ივანიშვილს, ხოლო მეორე ტურში პანჩური ამოარტყა მიხეილ სააკაშვილს.

— ამბობთ, ერთს სილა გააწნეს, მეორეს პანჩური ამოარტყესო, მაგრამ ორივე რაღაც კარგად გრძნობს თავს.

— არა მგონია, რომ ისინი კარგად გრძნობდნენ თავს. არჩევნების შემდეგ თუ მართლა კარგად გრძნობენ თავს, მაშინ მათი საქმე დამთავრებულია.

— სადაც გამოჩნდნენ, სახეზე ჭმუნვა ნამდვილად არ ეტყობოდათ.

— ეგ არის მოჩვენებითი. სინამდვილეში ძალიან ცუდად არის ივანიშვილი და, მით უმეტეს, მიხეილ სააკაშვილი. ძალიან კარგად ვიცი, რა შავ დღეშია ახლა ივანიშვილი და იმასაც ვგრძნობ, რას გრძნობს ის ახლა.

— რატომ არის შავ დღეში, ხომ მიაღწია მიზანს და თავისი კადრი პრეზიდენტად გაიყვანა?

— „ქართული ოცნების“ წევრებისგან განსხვავებით, მან ბევრად რეალურად შეაფასა ის საფრთხე, რაც ხელისუფლებას დაემუქრა.

კახა მიქაია: „სამოქალაქო დაპირისპირება არ იქნება“

28 ნოემბრის საღამოს, როცა არჩევნების შედეგები გამოცხადდა, „ოცნების“ წევრები მზად იყვნენ, გამარჯვების ჩოხები ჩაეცვათ, გამოვარდნილიყვნენ ქუჩაში და მოვიგეთო, ეყვირათ, მაგრამ ამის გაკეთება მათ ივანიშვილმა კატეგორიულად აუკრძალა.

— რატომ აუკრძალა? არ იყო ეს გამარჯვება?

— ივანიშვილი მიხვდა, რომ მან ეს არჩევნები წააგო, არჩევნები მოიგო ხალხმა. მინდა ყველამ დაიმახსოვროს — საპრეზიდენტო არჩევნები ხალხის მოგებულია და არა ივანიშვილის, მით უმეტეს, „ქართული ოცნების“.

— არჩევნების წინ ივანიშვილმა ყველაფერი თავის თავზე აიღო და ვითარების გამოსასწორებლად ერთწლიანი ვადა ითხოვა. რა გამოდის, მისი გუნდი თუ ჩაფლავდება, პირადად მან უნდა აგოს პასუხი?

— პასუხისმგებლობა მან აიღო საკუთარ თავზე და სანამ რამე ჩაფლავებულა, თავად უნდა მიხედოს საქმეს. ჯერჯერობით მას ამის რესურსი გააჩნია და ვნახოთ, რა იქნება. „ქართული ოცნების“ იმედი არა მაქვს. არც ივანიშვილი უნდა იყოს მათ იმედზე.

— ივანიშვილმა ახალი გუნდი უნდა შექმნას?

— მკითხველმა განსაზღვროს, რა უნდა გააკეთოს „ოცნების“ ლიდერმა.

— თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს?

— ახლა ის დილემის წინაშე დგას — ან არსებულ სიტუაციას გამოასწორებს, ან ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურად დამთავრდება.

— თქვენი აზრით, რა მოხდება?

— ვნახოთ. დიდი სურვილი მაქვს, რომ მან სიტუაცია შეცვალოს. ეს არის ჩემი სურვილი. ამიტომ ხატზე ვერ დავიფიცებ, რომ ის ამას გააკეთებს, მაგრამ იძულებული რომ არის, სიტუაცია გამოასწოროს, ეს ყველაზე უკეთესად თავად ივანიშვილმა იცის.

— ქოცებში პორტირებულ ნაცებზე არაერთი სკანდალი გაქვთ მოწყობილი. არჩევნების წინ „ოცნება“ ხალხს დაჰპირდა, რომ პორტირებულებისგან გაიწმინდებოდა. იქნება წმენდა?

— ეს იმ გეგმის ნაწილია, რაზეც ივანიშვილი ლაპარაკობდა. მან სიტუაციის გამოსწორება გუნდის გაწმენდით უნდა დაიწყოს.

— თუ მართლა წმენდა დაიწყო, გვერდით აღარავინ დარჩება. მის გვერდით სულ ყოფილი ნაცები დგანან.

— ამ ხალხის მოშორება აუცილებელია. ვინ მისცა არჩევნებზე გრიგოლ ვაშაძეს ხმა? ვინ და პორტირებულმა ნაცებმა. ფაქტები მაქვს, თუ როგორ აძლევდნენ „ოცნების“ ჩინოსნები თავის ოჯახებიანად ვაშაძეს ხმას.

— რამდენად მაღალი თანამდებობები უკავიათ ამ ჩინოსნებს?

— მაღალი თანამდებობებიც უკავიათ, საშუალოც და დაბალიც. ძალიან არ მომწონს იმაზე ჟივჟივი, რომ ნაცებმა ხალხი არ შეკრიბეს. დამიჯერეთ, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი ხალხი მივა მიტინგზე.

— რატომ არა აქვს ამას მნიშვნელობა?

— არა აქვს მნიშვნელობა და იმიტომ. აქ მთავარი ისაა, თუ რამდენი ხმა მიიღეს ნაცებმა არჩევნებზე.

— არჩევნებზე ბევრი ხმა მიიღეს.

— ბევრი ხმა მიიღეს და ამ ფონზე აღტკინება, რომ მიტინგზე ხალხი ვერ გამოიყვანეს, ხბოს აღტაცებად და არასერიოზულობად მიმაჩნია.

— ამბობთ, რომ ნაცებს „ოცნების“ ჩინოსნებმაც მისცეს ხმა. არჩევნები ვაშაძეს რომ მოეგო, ალბათ ბევრი ქოცი გადაპორტირდებოდა ნაცებში.

— გადაპორტირდებოდნენ რომელია, ვაშაძეს რომ მოეგო, პირდაპირ გადაფრინდებოდნენ ნაცებში.

— საპარლამენტო არჩევნებისთვის უკვე დაიწყო სამზადისი. თქვენ არ აპირებთ გააქტიურებას?

— მეტი რაღა ვიაქტიურო? ყოფილა დრო, როცა კახა მიქაიას არ უაქტიურია?! აქტიურობას მომავალშიც გავაგრძელებ.

— პარტიის შექმნას ხომ არ აპირებთ?

— ამის არც რესურსი მაქვს და არც სურვილი.

— ისე, კახა მიქაია კი უდრის ერთ პარტიას და რაღა საჭიროა პარტია.

— არ ვიცი, არ ვიცი. სამომავლო გეგმებზე მერე დაგელაპარაკებით.

— საპარლამენტო არჩევნებისთვის თუ შეიცვლება პოლიტიკური სურათი?

— საპარლამენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ არის დრო. რაღაცები ალბათ შეიცვლება.

— ნაცები და ქოცები თუ დასრულდებიან პოლიტიკურად, სხვა თუ არაფერი, მესის და რონალდუს ეპოქა დასრულდა — შესანიშნავ ფორმაში არიან და ოქროს ბურთის მფლობელი სხვა გახდა.

— ეს დრო აუცილებლად დადგება. როგორც მიშას და ნაციონალებს გაუვიდათ ყავლი, ასევე მოუვათ „ოცნებას“ და ივანიშვილს. ადრე თუ გვიან, ყველაფერი მთავრდება, ამათი ხანაც დასრულდება.

— პორტირებულებიც დასრულდებიან?

— ეს გამორიცხულია. პორტირებულები მარადიული თემაა. ისინი ყველგან და ყველა დროში არიან, ასეთი ხალხი განსაკუთრებით ქართულ პოლიტიკაშია მრავლად.

— ანუ მათ მოშორებაზე არც ვიოცნებოთ?

— ამაზე ოცნება არარეალურია.

ირაკლი კოვზანაძე: „ბიუჯეტის საბოლოო ვერსია არსებულ მოთხოვნებს პასუხობს“

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო ვერსიას მხარი დაუჭირა.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 4,5%-ით, ინფლაცია 3%-ით, ხოლო საბიუჯეტო დეფიციტი 2,6%-ით განისაზღვრა. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით, იზრდება 422 მლნ ლარით და 12 მლრდ 863.8 მლნ ლარს აღწევს, ხოლო გადასახდელები 13 მლრდ 90 მლნ ლარით განისაზღვრა (2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით 630.5 მლნ ლარით მეტი).

როგორც კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ სხდომაზე აღნიშნა, ბიუჯეტის საბოლოო ვერსიაში მთავრობამ პარლამენტის წევრების შენიშვნები გაითვალისწინა.

— კანონპროექტი პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც წარმოდგენილი იყო. 2019 წელს 13 მილიარდ 90 მილიონი ლარი დაიხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თანხებია ჩვენი ქვეყნისათვის, ასეთი მაღალი მაჩვენებელი აქამდე არ გვქონია, რაც მართლაც დასაფასებელია და მას ჩვენი ხელისუფლების პირობებში მივაღწიეთ, — განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

მისი თქმით, პრემიერის ინიციატივით, მომავალ წელს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან 144 ათასი ბავშვი 50-ლარიან დახმარებას მიიღებს, ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია არაერთი მნიშვნელოვანი სოციალური დახმარება სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეთათვის.

— განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ სფეროებზე 5 მილიარდ 562 მილიონი ლარია გამოყოფილი, რაც მთლიანი ფუნქციონალური კლასიფიკაციით გათვალისწინებული თანხების 47,2%-ს შეადგენს, — აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ბიძინა ივანიშვილმა ბრძოლა გამოუცხადა სალომე ზურაბიშვილს და ხარჯები შეუმცირა“

„ქართული ოცნება“ ამ წუთასაც უშვებს შეცდომას, როდესაც ტოვებს იმის შანსს, რომ შემდეგ, არჩევნების შედეგად, შეიძლება თვითონ, შეიძლება სხვა მოვიდეს კონსტიტუციური უმრავლესობით.

იაგო ნაცვლიშვილი

16 დეკემბერს არჩეული პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციაა, რომელიც არა საქართველოს დედაქალაქში – თბილისში, არამედ თელავში ჩატარდება. პარალელურად გაერთიანებული ოპოზიცია აქციას აანონსებს.

უკავშირდება თუ არა ინაუგურაციის თელავში ჩატარება ოპოზიციის აქციას და აქვს თუ არა ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაცია „გირჩს“, – ამ თემებზე „ახალ თაობასთან“ „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი იაგო ხვიჩია საუბრობს:

– პრეზიდენტს უმცირებენ ბიუჯეტს და უუქმებენ სარეზერვო ფონდს. თქვენ ითხოვდით ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებას. როგორ ფიქრობთ, ეს ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია თუ პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტებაა?

– მე მგონი, ეს შიდა მენეჯმენტის გადაწყვეტილებაა. თუმცა, როგორ გავაკრიტიკო ვინმე იმის გამო, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ხარჯები შეუმცირა. მომეტებული რომ ჰქონოდა, არც მაშინ შეცვლიდა რამეს. ასე მგონია.

არ ვნერვიულობ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტი მცირდება და ბიუროკრატიას როცა უმცირდება დასახარჯი ფული, რაც მოსახლეობისგან არის აკრეფილი, ამას უარყოფითად არ ვაფასებ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ვიღაცა ასე თვლის, რომ ეს პრეზიდენტის უფლების შეზღუდვაა. არ მგონია, რომ ასე იყოს გათვლილი. მისი უფლებამოსილების გაზრდა და შემცირება ამაზე არ არის დამოკიდებული.

დამოკიდებულია პოლიტიკურ გუნდზე, ვინც მხარს უჭერდა და ფაქტობრივად გაამარჯვებინა სალომე ზურაბიშვილს ამ არჩევნებზე. არა მგონია, ეს სერიოზული ამბავი იყოს, როგორც ინსტიტუტის უფლებამოსილების შესუსტების მიმართულებით. პრეზიდენტის უფლებამოსილება კონსტიტუციით შევასუსტეთ.

– კითხვებს ის ფაქტი არ გიჩენთ, რომ ერთი ინსტიტუტის ხარჯები მცირდება და არა მთლიანად მთავრობის?

– რა კითხვები უნდა გამიჩნდეს, არ ვიცი. პრეზიდენტი დახარჯავს ფულს, რომელიც „ქართული ოცნების“ ნაწილია თუ მინისტრი, რომელიც აბსოლუტურად იგივეა, ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა არ გააჩნია. ზოგადად, როცა ხარჯები მცირდება, კარგია. მე არ მჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ბრძოლა გამოუცხადა სალომე ზურაბიშვილს და ამიტომ შეუმცირა ხარჯები. ეს ვერსია ჩემი მხრიდან არასერიოზული ვერსია იქნებოდა.

– რაც შეეხება პრეზიდენტის ინაუგურაციის თელავში გამართვას, რითი ხსნით? გჯერათ, რაც დაასახელა პრეზიდენტმა ოფიციალურად, რომ სადაც წავაგე არჩევნები, იქ ვმართავ ინაუგურაციასო?

– არ მჯერა ეს. არ მგონია, ეს დამაჯერებელი ვერსია იყოს. პირველი ტური სალომე ზურაბიშვილმა თბილისშიც წააგო.

მნიშვნელობა არ აქვს. ადამიანი ზეიმობს საკუთარ გაპრეზიდენტებას, ჩვენ რომ შევურჩიოთ ადგილი, მე არ მგონია სწორი. თვითონ ასე ჩათვალა საჭიროდ და ასეთი ფორმატი ჰგონია სწორი ამომრჩეველთან სასაუბროდ. ამიტომ მისი გადასაწყვეტია. მე ასე არ მოვიქცეოდი. ამ ქვეყანას აქვს დედაქალაქი და დედაქალაქში იმართება ხოლმე ასეთი რაღაცები.

პირველი კითხვა რომ დამისვით პრეზიდენტის შესუსტება-არშესუსტებაზე, შენ რომ ძლიერი პრეზიდენტი გინდა და მართლა გინდა გამოიყენო პრეზიდენტის ინსტიტუტი, ასეთ დროსაც უმჯობესია ეს პროცედურა ჩაატარო ისეთ ადგილას, სადაც ამომრჩეველს უფრო მეტად შეუძლია მოსვლა და დასწრება. თუ შენ გინდა, რომ საერთო სახალხო დღესასწაული მოაწყო. შეარჩიო ადგილი, სადაც ხალხს შეუძლია მისვლა პრეზიდენტის პატივსაცემად, ამ შემთხვევაში ტერიტორიულ მდებარეობად ცალსახად დედაქალაქი უნდა იყოს.

მე პირადად სერიოზულად ვერ აღვიქვამ, სად ჩაატარებს ინაუგურაციას სალომე ზურაბიშვილი და სად არა. მე სხვანაირად მოვიქცეოდი, მაგრამ მისი გადასაწყვეტია.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ოპოზიციას აქცია აქვს დაანონსებული დედაქალაქში?

– შეიძლება. ბევრი ლოგიკური ვერსია შეიძლება აიგოს ნებისმიერ ფაქტთან დაკავშირებით. ყველა დამაჯერებლად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ერთ-ერთი ვერსია ესეც არის. კი დამაჯერებელია ესეც. თუმცა, ოპოზიციას თელავშიც შეუძლია აქცია ჩაატაროს თუ ასე არიან მონდომებული.

იცით რა არ მესმის? თუ პრეზიდენტი ავირჩიეთ და შევთანხმდით, რომ ავირჩიეთ, მაშინ ინაუგურაცია უნდა ჩავატარებინოთ. თუ არ შევთანხმდით, მაშინ გასაგები უნდა იყოს, რატომ არ ვართ ამაზე შეთანხმებულები. რა კონკრეტული მტკიცებულებები გვაძლევს ამის საფუძველს, გარდა ზოგადი დარღვევებისა?!

ჩვენი პარტნიორები, ვინც ამ არჩევნებს აკვირდებოდნენ, თქვეს, რომ ცუდად ჩატარებული არჩევნების მიუხედავად... როგორც ამბობენ ხოლმე კლასიკურად, როცა უნდათ არჩევნების შედეგები ცნონ, თქვეს რომ ამ დარღვევებს არ მოუხდენია გავლენა შედეგებზეო. ამ განცხადებით ასრულებენ ყველა თავის განცხადებას.

მგონია, რომ ჩვენ – ოპოზიციასაც, მეტი მოგვეთხოვება ამ თვალსაზრისით. შეიძლება გააპროტესტო, მაგრამ ჩაუშალო ადამიანს ღონისძიება, მაშინ როცა არ შეგიძლია შეაჩერო მისი პრეზიდენტად შედგომის ფაქტი, მე სისუსტის გამოვლინება მგონია.

– ოპოზიცია ამბობს, რომ არ აპირებს ინაუგურაციის ჩაშლას, თუმცა ისიც ფაქტია, რომ შედეგებს არ აღიარებენ.

– მაშინ, მით უმეტეს, სალომე ზურაბიშვილის შიშები ყოფილა და არა ოპოზიციის ზრახვები. შესაძლოა სალომეს ნოსტალგიები აქვს თელავთან, ან რაღაც სხვა მიზეზი აქვს. ანუ არ ვიცი და საზოგადოებრივად მაინცდამაინც მნიშვნელოვანი საკითხი არც არის, ამიტომ არ ვუღრმავდები ამ თემას.

სალომე ვალდებულია „ქართული ოცნების“ წინაშე და ვინ მიიღო „ოცნებაში“ გადაწყვეტილება, რომ ინაუგურაცია თელავში ჩაეტარებინათ, ესეც არ ვიცი. ამიტომ, ნებისმიერი ვერსიის თქმა მკითხაობა გამოდის.

– ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ თუ ვაშაძე აღიარებს მას პრეზიდენტად, ინაუგურაციაზე მიიწვევს, საპასუხოდ ვაშაძემ თქვა, რომ შედეგების აღიარებას არ აპირებს. თქვენი აზრით, სწორად მოიქცა ვაშაძე?

– როცა ადამიანი არ აღიარებს შედეგებს, მისი დაპატიჟება სასაცილოა. რაც შეეხება მეორე მხარეს, მეორე მხარის არგუმენტის უფრო არ მესმის, თუკი არ ვაპირებ აღიარებას, მაშინ რას ვაპირებ? არ ვიცი ვაშაძის შემდეგი გეგმები, რას აპირებს და ერთ თვეში რა მოხდება, ვთქვათ ინაუგურაციის შემდეგ. ამბობენ, არ ვაღიარებთ არჩევნების შედეგებსო, ამის შემდეგ რა ხდება? ეს უნდა აგვიხსნან და ამის მერე ვიმსჯელებთ, რამდენად ლოგიკურია ეს არგუმენტი.

– ბოლოს გვითხარით, „გირჩი“ ისევ ცალკე დგახართ და ოპოზიციურ პარტიებთან არავითარი კომუნიკაცია არ გაქვთ?

– გაბუტულები არ ვართ, ერთმანეთს გამარჯობას ვეუბნებით.

– კომუნიკაციაში კონსულტაციებს ვგულისხმობ.

– კონსულტაცია რასთან დაკავშირებით უნდა გვქონდეს? მთელი პოლიტიკური სპექტრი თამაშობდა ერთ თამაშს, რაც საქართველოში პოლიტიკის კეთებად ითვლება. ადამიანები იძახდნენ ყველაფერს, რაც ენაზე მოადგებოდათ. ჩვენ მაშინვე გავემიჯნეთ ამ პროცესს და პოლიტიკური სპექტრისგან ცალკე ვიყავით. ახლა არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა ჯერჯერობით.

თუმცა, არის გარკვეული მოთხოვნები ოპოზიციის, რომელსაც ჩვენ ვეთანხმებით – საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. ამ საკითხში კონსულტაციები შეიძლება არ გვაქვს, მაგრამ საჯაროდ ვუდასტურებთ, რომ ეს მოთხოვნა გვაერთიანებს. ეს იდეა არჩევნებიდან მეორე თუ მესამე დღეს პირადად მე დავაყენე ინგა გრიგოლიას ეთერში, როდესაც არჩევნების შედეგებს ვაფასებდით. ეს მოთხოვნა გვაერთიანებს, ამიტომ კონსულტაციებით თუ კონსულტაციების გარეშე ჩვენ ამ მოთხოვნას ყოველთვის საჯაროს გავხდით.

„ქართული ოცნება“ ამ წუთასაც უშვებს შეცდომას, როდესაც ტოვებს იმის შანსს, რომ შემდეგ, არჩევნების შედეგად, შეიძლება თვითონ, შეიძლება სხვა მოვიდეს კონსტიტუციური უმრავლესობით. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამომრჩევლის ხმების მესამედი მიიღონ. ასეთი საარჩევნო სისტემა გვაქვს, რომლის ნაკლოვანებასაც ყოველთვის ხედავს ოპოზიცია. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გვიჭირს ამ ნაბიჯის გადადგმა და გვგონია, რომ ამ სისტემით სულ იქნებიან ხელისუფლებაში. ეს სჭირს ახლა „ქართულ ოცნებას“, მანამდე ეს სჭირდა „ნაციონალურ მოძრაობას“. ოპოზიციური სპექტრი თანხმდება იმაზე, რომ ეს გასაკეთებელია. ვფიქრობ, რომ აქეთკენ მოუწევს სვლა „ქართულ ოცნებას“. მათ შორის ინაუგურაციის შემდეგ. იმიტომ, რომ ბევრი დრო არ არის. დასაწყებია ეს მოძრაობა, ყოველთვის არ გვექნება ასეთი შანსი.

ჩაიშლება თუ არა ზურაბიშვილის ინაუგურაცია

გაერთიანებული ოპოზიცია 16 დეკემბერს თელავში აქციას გამართავს

შორენა მარსაგიშვილი

გაერთიანებული ოპოზიცია ხელისუფლებას დაჰპირდა, რომ 16 დეკემბერს ბევრ სიურპრიზს მოუწყობდა. მეოცნებენი სიურპრიზებს თელავში გაექცნენ. 7 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ „ოცნებას“ სიურპრიზს ერეკლეს ქალაქშიც დაახვედრებენ, სადაც მმართველი ძალის ნებიერამ საპრეზიდენტო არჩევნები ორივე ტურში წააგო.

გავრცელებული ინფორმაციით, ოპოზიცია 16 დეკემბერს საპროტესტო აქციას თელავში გამართვას. ისინი გეგმაზე კონკრეტულად არ საუბრობენ, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თელავში რაღაც ღონისძიებას მაინც ჩაატარებენ.

რას აპირებს ოპოზიცია 16 დეკემბერს, ვინ აყენებს შეურაცხყოფას ერეკლე მეფის ხსოვნას და თელაველებს, რა ჩაიფიქრა ივანიშვილმა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ბოტკოველი ესაუბრება.

გიორგი ბოტკოველი: „სალომე ზურაბიშვილით ერეკლეს ქალაქის და სასახლის პოპულარიზაცია სამარცხვინო მგონია“

– გავრცელებული ინფორმაციით, გაერთიანებულმა ოპოზიციამ 16 დეკემბერს შეიძლება აქცია თელავში გამართოს. მართლა აპირებთ თელავში აქციის მოწყობას?

– ჩვენ ყოველდღე რაღაცას ვაკეთებთ. რას გავაკეთებთ 16 დეკემბერს, ეს ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არა გვაქვს. რაღაც აქტივობა აუცილებლად იქნება.

– თელაველები როგორი განწყობით შეხვდნენ, რომ მათ ქალაქში გაიმართება სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია?

– თელაველები აღფრთოვანებულები არ არიან. „ქართული ოცნება“ თავის გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ ინაუგურაცია თელავის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

როგორც კი ის ინფორმაცია გავრცელდა, რომ ინაუგურაცია თელავში გაიმართება, იქიდან მოყოლებული ვამტკიცებ – ეს გადაწყვეტილება მიიღო ბიძინა ივანიშვილმა. ეს მისი პრინციპული გადაწყვეტილებაა.

მთელი საარჩევნო კამპანიის პერიოდში ის ხაზს უსვამდა, რომ ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება მისი პრინციპი იყო, ინაუგურაციის თელავში ჩატარებაც მისი პრინციპია. ფიქრობს, წავაგეთ არჩევნები? ჩამოვალთ და მანდ ჩავატარებთ თქვენ მიერ დაწუნებული კანდიდატის ინაუგურაციას.

ამ გადაწყვეტილებას კიდევ აქვს ერთი ახსნა – შიშის ფაქტორი. დედაქალაქში ინაუგურაციის ჩატარება შეეშინდათ, იფიქრეს, აქ შეიძლება ოპოზიციამ აქცია მოაწყოსო.

– ის არ იფიქრეს, რომ იგივე ოპოზიციას აქციის ჩატარება თელავშიც შეუძლია. იმის იმედით იყვნენ, რომ გურჯაანელები გადაკეტავდნენ გზას და ვაშაძის მხარდამჭერებს არ გაატარებენ?

– ხალხში ძალიან დიდი პროტესტის გრძნობა არის. მე შემიძლია კონკრეტული ადამიანების სახელითაც ვილაპარაკო. ვიღაცები მედავებიან იმის გამო, რომ თელაველების სახელით ლაპარაკის უფლება არავის არ აქვს. მე იმ თელაველების სახელით საუბარი შემიძლია, ვინც სალომე ზურაბიშვილი არ აირჩია.

– თელავმა ზურაბიშვილი რომ არ აირჩია, ეს პირადად თქვენი დამსახურებაც იყო, ძალიან მაგრად იმუშაკაში ჩართეს.

ადრე თუ ერეოდა პოლიცია ასეთ საქმეებში, არც ეს იყო კარგი და ეს ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა დამთავრდეს. რასაც თავის დროზე იწუნებდი და თავად იმავეს რომ აკეთებ, ეს არის მიუღებელი. ის, რაც არჩევნებზე მოხდა, ეს პოლიციის შეურაცხყოფაა.

მე არ ვიცი, რა სახის აქცია იქნება 16 დეკემბერს, მაგრამ თელავში პროტესტი აუცილებლად იქნება.

ადამიანებში ძალიან მაღალი საპროტესტო მუხტია. მათ ძალიან კარგად იციან რომ ეს იყო ძალდატანებითი არჩევნები. ამასთან არც ის მოსწონთ, რომ ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც ერთი კაცი გადაწყვეტს. მით უმეტეს, რომ ეს ერთი კაცი არ წარმოადგენს ხელისუფლებას.

– ზემოთ აღნიშნეთ, „ოცნება“ ამბობს, ინაუგურაცია თელავის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელსო. თელავს პოპულარობა არასდროს აკლდა.

– სალომე ზურაბიშვილით ერეკლეს ქალაქის და სასახლის პოპულარიზაცია სამარცხვინო მგონია.

– რატომ გგონიათ სამარცხვინო?

– ერეკლე მეფემ ხელში ხმალი 15 წლისამ აიღო და ღრმა სიბერემდე მტრის წინააღმდეგ იბრძოდა, სალომე ზურაბიშვილი საკუთარ ქვეყანას ომის დაწყებაში ადანაშაულებს. ასეთ ადამიანს სამშობლოსთვის თავდადებული მეფის სასახლის ეზოში რომ ფიცს ადებინებ, ეს არ არის პოპულარიზაცია, ეს არის იმ მეფის დაკნინება და შეურაცხყოფა, რომლის ეზოშიც ინაუგურაცია გაიმართება.

ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი ოპოზიცია, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებზე 800.000-ზე მეტი ხმა მიიღო, რაც, თავის მხრივ, უპრეცედენტო შემთხვევაა. საქართველოში არც ერთ ოპოზიციურ პარტიას ამდენი ხმა არ მიუღია.

ეს ჩვენ დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ჩვენ ამ პასუხისმგებლობას კარგად ვგრძნობთ. ჩვენი პროტესტი იმ ხალხთან იქნება ანგარიშვალდებულება, ვინც ჩვენ ხმა მოგვცა.

ეს ყველაფერი კარგად გვაქვს გათავისებული და ისიც კარგად ვიცით, რომ ყოველგვარი პროტესტი უნდა მოერგოს კონსტიტუციურ ჩარჩოებს.

ნათია ხურცილავა

ვახტანგ ძაბირაძე: „ინაუგურაციის თელავში გამართვა შეცდომაა“

პოლიტოლოგი, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, საქართველოს არც ერთი პრეზიდენტის ინაუგურაცია არ გამართულა დედაქალაქს გარეთ. 16 დეკემბერს მე-5 პრეზიდენტის ინაუგურაცია თელავში გაიმართება. სალომე ზურაბიშვილის არგუმენტები თქვენთვის სარწმუნოა?

– ეს არგუმენტები ჩემთვის დიდად დამაჯერებელი არ არის. სალომე ზურაბიშვილი ამბობს, თელავი წავაგე და ამიტომო. ამ ლოგიკით რუსთავიც წააგო და მაშინ რატომ რუსთავში არა?! ის ამ არგუმენტებით ცდილობს აჩვენოს, რომ ზეპარტიულია, რაც აბსოლუტურად გაუგებარი და ლოგიკას მოკლებულია. რა შუაშია ზეპარტიულობა?! თან მახსენდება მისი უცხოური ინტერვიუ, სადაც ამბობს, ბიძინამ მითხრა, დამოუკიდებელი იქნებიო. ამ ვითარებაში რომ ირწმუნო ეს არგუმენტები, ძალიან რთულია.

– თქვენ რას უკავშირებთ?

– მე ცოტა განსხვავებულ ვერსიას ვუკავშირებ. ოპოზიციამ 16 დეკემბრამდე მისცა ხელისუფლებას დრო, უფრო სწორად, ულტიმატუმი წაუყენა. ცნობილია, რომ ოპოზიცია 16 დეკემბერს საპროტესტო აქციის გამართვას აპირებს. როგორც ჩანს, გართულებებს მოერიდნენ.

– თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ოპოზიცია თელავში აპირებს ჩასვლასა და აქციის იქ გამართვას.

– თელავი, კონკრეტულად ერეკლეს სასახლე, საკმაოდ კარგად არის დაცული. თავის დროზე ლეკიანობისგანაც კარგად იყო დაცული. ახლაც ნაციონალებისგან დაცული იქნება. ეს საფრთხე რამდენად უტოლდება ლეკიანობის საფრთხეს, სხვა საკითხია.

მე მაინც ვფიქრობ, რომ ზედმეტ გართულებებს მოერიდნენ და გადაწყვიტეს, მშვიდად და წყნარად ჩაატარონ თელავში ინაუგურაცია.

– თელავში პროტესტი ასეთი მკვეთრი არ იქნება?

– პროტესტს რუსთაველზე სულ სხვა ფასი აქვს და პროტესტს თელავში – სულ სხვა. აქ პოლიტიკურ სიმძაფრეს, პოლიტიკურ ცენტრსა და ტრადიციას ვგულისხმობ და არავითარ შემთხვევაში – სხვა რამეს.

მე არ გამოვრიცხავ, რომ პროტესტი თელავში უფრო მასშტაბური, უფრო მწვავეც იყოს. შეიძლება, რუსთაველის გამზირისთვის ისეთი მასშტაბური არ იყოს რამდენიმე ათასი ადამიანი, მაგრამ თელავისთვის ეს შეიძლება ძალიან მასშტაბური იყოს.

სწორი სტრატეგიაა შერჩეული ოპოზიციის მიერ, რომელიც ახლა ეპიცენტრის გადატანას სწორედ თელავში აპირებს, რადგან ეს პროტესტი მთელ კახეთს მოედება და თელავში ყველა ჩავა, განსხვავებით თბილისისგან.

ზურაბიშვილი თელავში ინაუგურაციის ჩატარებით ზეპარტიულობის ხაზგასმას ახდენს, მაგრამ შეიძლება შედეგად მიიღოს ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კახეთიც კი დაკარგოს.

– რას გულისხმობთ?

– 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის კახეთი შეიძლება სრულად ოპოზიციურად განეწყოს. ეს სულაც არ არის გამორიცხული. ამიტომ, მე არ ვიცი, რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა თელავში ინაუგურაციის ჩატარება.

– არჩევნების შედეგების არაღიარება, ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენება რამდენად შეიძლება პრობლემური გახდეს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიისთვის?

– მე არ ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ მეორე ტურში „ქართულმა ოცნებამ“ კატასტროფულად გააყალბა არჩევნები. თუ ასეა, ნაციონალური მოძრაობა რატომ არ დებს გაყალბების რეალურ, სერიოზულ ფაქტებს?!

შეიძლება უცხოელი დამკვირვებლისთვის ეს სრულიად გაუგებარი იყოს, მაგრამ რამ იმუშავა, რამ შეასრულა მთავარი როლი მეორე ტურში ხელისუფლების გამარჯვებაში?! ხალხი გამოვიდა შიშით, ვაითუ ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდეს! ეს იყო გადამწყვეტი ფაქტორი და არა – ამომრჩევლის მოსყიდვა.

მეორე ადგილზე ნაციონალური მოძრაობა და მისი კანდიდატი რომ არ ყოფილიყო და სხვა ძალა ყოფილიყო, მერწმუნეთ, ამ არჩევნებს ოპოზიცია მოიგებდა და არა – ხელისუფლება. ეს უნდა გააცნობიეროს ოპოზიციამ კარგად.

უცხოელი დამკვირვებლისთვის ეს რთულად დასაჯერებელი ამბავია, მაგრამ რეალობაა. ამიტომ რთულია, არალეგიტიმურად გამოაცხადოს ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნების შედეგები და ის არ ცნოს.

– თუ ასეა, პირველ ტურში რა მოხდა?

– მეორე ტურში დაინახა ამომრჩეველმა ნაციონალების მობრუნების საფრთხე და ამიტომ წავიდა არჩევნებზე. გაერთიანებული ოპოზიციის მხრიდან ვერც ერთი სერიოზული ფაქტი ვერ დაიდო, გარდა მარნეულის ინციდენტებისა, სადაც არჩევნების რეალური გაყალბება ჩანს.

მე მახსენდება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც რეალურად დადგა არჩევნების შედეგების ლეგიტიმაცია ეჭვქვეშ. მაშინ საა-კაშვილის გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მაშინაც გაგრძელდა საპროტესტო ტალღა, მაგრამ მან ვერ შეცვალა მიმდინარე პოლიტიკური პროცესი.

ახლა ოპოზიცია 16 დეკემბერს ინაუგურაციას ვერ ჩაშლის და არც ჩაშლის. ინაუგურაციის შემდეგ საპროტესტო მუხტი რამდენად იქნება ძლიერი, რამდენად გამოვა ხალხი, ამაზე იქნება ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული.

აქ არ ვგულისხმობ პრეზიდენტის ლეგიტიმურობის საკითხს. უკვე პრეზიდენტზე საერთოდ აღარ იქნება საუბარი. ეს არის მხოლოდ საბაბი, რეალურად კი ხელისუფლების შეცვლაზე იქნება საუბარი.

– ახლა ოპოზიცია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისა და საარჩევნო სისტემის ცვლილების მოთხოვნით გამოდის. წავა ამაზე ხელისუფლება?

– სრულებით არ გამოვრიცხავ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს. თუმცა, ამას ძალიან სერიოზული მუშაობა სჭირდება, რაც ვერც ერთხელ ვერ შეძლო ოპოზიციამ.

ეს ნაციონალური მოძრაობა რომ არ იყოს იმ ძველ ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებული, რომლის მობრუნება ნამდვილად არ უნდა ხალხს, მაშინ ხელისუფლების ცვლილება ახლავე და გარდაუვლად მოხდებოდა.

ეს პრობლემა რეალურად დგას.

რომან გოცირიძე: „დრო გვიჩვენებს, იქნება თუ არა სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, გაერთიანებული ოპოზიცია არ ცნობს საპარლამენტო არჩევნების შედეგებს. არც ინაუგურაციაზე დასწრებას გეგმავს. რატომ არ აღიარებთ არჩევნების შედეგებს?

– რაც დრო გადის, ჩვენც და საერთაშორისო საზოგადოებაც სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ ეს არჩევნები არ იყო თავისუფალი, ჩატარდა მნიშვნელოვანი დარღვევებით და გამოიკვეთა საშინელი ძალადობა ამომრჩეველზე. ამიტომ უკვე საერთაშორისო ორგანიზაციები და უცხოეთის სახელმწიფოები ამას აღიარებენ და არაერთი განცხადება მოვისმინეთ, სადაც გამოთქვამენ შეშფოთებას. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ არჩევნების სამართლიანად აღიარებას არ აპირებს გაერთიანებული ოპოზიცია. ჩვენ რომ ეს არჩევნები გვეღიარებინა, ეს არ იქნებოდა გამართლებული. ამით კიდევ უფრო მივცემდით ხელისუფლებას სტიმულს მომავალი არჩევნების გასაყალბებლად. ამიტომ ჩვენი პრინციპული პოზიცია იქნება ის, რომ ჩვენ ამ არჩევნების შედეგებს არ ვაღიარებთ და ვითხოვთ სწორედ ჯანსაღი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას.

– კერძოდ, რას ითვალისწინებს ეს მოთხოვნები, რა შედის ჯანსაღ გარემოში?

– პირველ რიგში უნდა დაიწყოს ცვლილებები საარჩევნო კანონის, იმიტომ, რომ მთელი ამ ცვლილებების ფონზე, ვგულისხმობ კონსტიტუციურ ცვლილებებს, მიმდინარეობდა საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაც, რომელიც მორგებული იყო მმართველი პარტიის ინტერესებზე და ამის შედეგი ჩვენ დავინახეთ ამ არჩევნებში, უამრავი ტექნიკური თუ სხვა ხასიათის ცვლილება იყო შეტანილი, რომელიც ემსახურებოდა არჩევნების გაყალბებას. საარჩევნო კანონი უნდა შეიცვალოს სასწრაფოდ და ასევე უნდა გადავიდეთ პროპორციულ სისტემაზე, რაც იყო საქართველოს მთელი პოლიტიკური სპექტრის სურვილი.

– 2024 წლიდან გადავალთ პროპორციულ სისტემაზეო...

– მთელი პოლიტიკური სპექტრის ამ სურვილს როგორც იქნა დაემორჩილა უმრავლესობა და პროპორციული წესით არჩევნები დანიშნა 2024 წელს. რატომ 2024? რატომ უნდა ვიცადოთ 6 წლის განმავლობაში, როცა ჩვენ დავინახეთ, რომ მაჟორიტარული წესით ჩატარებული არჩევნები ვერ უზრუნველყოფს სამართლიან წარმომადგენლობას პარლამენტში. ამიტომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები.

– ხელისუფლება რომ არ მოდის ოპოზიციასთან დიალოგზე? არც ვადამდელი არჩევნების მომხრეა.

– ხელისუფლებას ძალიან ბევრი რამ არ უნდა ხშირად, მაგრამ იძულებულია, რომ გააკეთოს. როდესაც ქვეყანაში არსებობს სერიოზული პოლიტიკური კრიზისი და რა შეიძლება ამაზე მძიმე კრიზისი იყოს, თუ არა უსამართლო არჩევნების შედეგად მიღებული პრეზიდენტი, გაყალბებისა და მოსყიდვის გზით. ამიტომ, როცა არის პოლიტიკური კრიზისი, კრიზისის განმუხტვის ყველაზე სამართლიანი და სწორი გზა, ეს არის არჩევნები. ჩვენ გვახსოვს, როდესაც ქვეყანაში სერიოზული დესტაბილიზაციის საფრთხე შეიქმნა, მიხეილ სააკაშვილი გადადგა და მან დანიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. აი სწორედ ასე უნდა შესთავაზოს მმართველმა ხელისუფლებამ ხალხს. გაარკვიოს, აქვს თუ არა მას კვლავ ნდობა ხალხისაგან და ამ ნდობის გამოხატვა არის საპარლამენტო არჩევნები.

– ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვთ, მაგრამ 2020 წლამდე საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაც და არჩევნებიც მოესწრება?

– რატომ ვერ მოესწრება? წინ ორი წელია. ეს პარლამენტი მუშაობს მხოლოდ 2 წელიწადია. ანუ მხოლოდ ნახევარი განვლო და ამ ორი წლის განმავლობაში ფაქტიურად გაკოტრდა „ქართული ოცნების“ როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება, ისე პარლამენტი. რეალურად პარლამენტმა და მთავრობამ დაკარგა ნდობა იმ უამრავი დანაშაულებების, შეცდომების თუ დარღვევების გამო, რაც ამ წლებში ხდებოდა და რაც გამოიხატა იგივე ქუჩის საპროტესტო აქციებით და დღემდე შვილმოკლული მამები რუსთაველზე აპროტესტებენ უსამართლობას. მრავალი უსამართლობა იქნა ჩადენილი და მათ შორის არჩევნების კუთხით. რადგან დაგროვდა ამდენი პროტესტი და პრობლემა, ბუნებრივია, ამორტიზირებულ სისტემას სჭირდება შეცვლა ახლით.

– ექსპერტთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ დღეს არ არის ოპოზიცია ისეთ მომგებიან სიტუაციაში, რომ ვადამდელი არჩევნები მოითხოვოს, შესაძლოა ისევ „ოცნებამ“ მოიგოსო. ამაზე რას იტყვით?

– ჩვენ გვინდა სამართლიანი არჩევნები და თუ სამართლიან არჩევნებში მოიგებს „ოცნება“, მოიგოს, კი ბატონო. თუმცა თუ იქნება სწორად დაკომპლექტებული საარჩევნო კომისია, სწორი საარჩევნო სისტემა, გადავალთ პროპორციულ სისტემაზე, არ მოხდება ადმინისტრაციული რესურსის და ძალოვანი უწყების ჩართვა და ივანიშვილის მიერ მოსყიდვები, როგორც ახლა, სესხების განულების და ცრუ დაპირების სახით რომ გაისმა, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ოპოზიციას მეტი შანსი აქვს გამარჯვების.

– „ოცნებას“ არ აქვს შანსი?

– თუ ასეთ პირობებში გაიმარჯვებს „ოცნება“, კი ბატონო, ე.ი. ხალხს ესე უნდა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ არჩევნებში გინდა თუ არა ოპოზიციამ უნდა გაიმარჯვოს, ჩვენ ვამბობთ, რომ არჩევნები უნდა იყოს სამართლიანი და სამართლიანმა არჩევნებმა გადაწყვიტოს, ვის ანდობს ხელისუფლებას. თუმცა დღეს ხალხის მოთხოვნაა, არა რომელიმე ერთი პარტიის გამარჯვება, არამედ კოალიციური ხელისუფლების შექმნა, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. რათა ქვეყანამაც და პოლიტიკურმა ძალებმაც ვისწავლოთ თანამშრომლობა კონკურენციულ სიტუაციაში და მართონ ქვეყანა ისე, როგორც ეს არის ევროპის უმრავლეს სახელმწიფოებში და იშვიათია, რომ რომელიმე ერთ პარტიას ჰქონდეს მთავრობის ჩამოყალიბების ფუფუნება.

– ბატონო რომან, ოპოზიციის აქცია 16 დეკემბერს არის დაანონსებული, ზუსტად ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს. გაკეთდა განცხადებები, რომ შესაძლოა გაერთიანებული ოპოზიციის აქციაც თელავში ჩატარდეს. რატომ უნდა ჩაშალოთ ინაუგურაციის პროცესი?

– თუ სად ჩატარდება აქცია, ამას გადაწყვეტს გაერთიანებული ოპოზიცია, ამას არ გადაწყვეტს არც ერთი პარტია. გაერთიანებული ოპოზიცია გააკეთებს ამის თაობაზე განცხადებას. იქნება თუ არა პროტესტის ფორმა გამოხატული ქუჩის აქციებით, ეს იქნება თელავში, თბილისში თუ სხვაგან, ამაზე მიდის მსჯელობა.

– რას იტყვით თავად სალომე ზურაბიშვილზე, როგორი პრეზიდენტი იქნება?

– იმ ფორმით, როგორი ფორმითაც ის მოვიდა, ის იქნება ძალიან სუსტი და მას მხრებზე მუდამ ექნება აკიდებული ის ცოდვა, რომ ის არ მოვიდა სამართლიანი არჩევნების გზით. ის მუდამ იქნება ამ არჩევნების შედეგის გავლენის ქვეშ.

– ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ჩემთვის არ არსებობს ოპოზიცია პოზიცია, პარტიების ზემოთ ვდგავარო. რამდენად იქნება მიუკერძოებელი?

– ამას გვაჩვენებს დრო, თუ როგორი პრეზიდენტი იქნება და იქნება თუ არა.

კახა კუკავა: „პოლიტიკური რვიანი უნდა აღდგეს. ეს ახალ წლამდე გაირკვევა“

იაგო ნაცვლიშვილი

ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებას, საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმასა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს. შეხვედრაზე, რომელიც პარტიებს შორის 5 დეკემბერს გაიმართა, „თავისუფალი საქართველო“ არ იმყოფებოდა. იზიარებს თუ არა ოპოზიციური პარტიების პათოსს და რა გეგმები აქვს? – ამ თემაზე „ახალ თაობასთან“ პარტიის ლიდერი კახა კუკავა საუბრობს.

– ოპოზიციური პარტიების შეხვედრაზე არ იყავით. არ უერთდებით მათ მოთხოვნებს თუ რა არის თქვენი მოტივაცია?

– მოთხოვნებს არათუ ვუერთდები, ეს იყო ჩემი ინიციატივა. ჩვენი პარტია იყო პირველი 2007 წელს, რომელმაც ეს ინიციატივა წამოაყენა. ამის შემდეგ დაიწყო საპროტესტო აქციები. ვითხოვდით მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას და მას შემდეგ უწყვეტად ვითხოვთ ამას. ქართულ პოლიტიკაში ერთადერთი პოლიტიკური პარტია იყო და არის „თავისუფალი საქართველო“, რომელიც მუდმივად და თანმიმდევრულად ითხოვს მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას.

რაც შეეხება შეკრებას, ჩვენ დისტანცია გვაქვს ნაციონალური მოძრაობისგან. გამომდინარე იქიდან, რომ კარგად არის ცნობილი ჩვენი წარსული ურთიერთობები, მათთან ერთად რაიმე გაერთიანებასა და სტრუქტურაში მონაწილეობას არ ვგეგმავთ, მაგრამ ის, რომ ჩვენ რაღაც საკითხებზე გვქონდეს საერთო პოზიცია, არის პოლიტიკური პროცესი. ეს ძალიან კარგია, რომ მათ შეიცვალეს პოზიცია და მიიჩნევენ, რომ მაჟორიტარულ სისტემას პროპორციული სჯობია. კარგი იქნება, თუ „ქართული ოცნებაც“ შეიცვლის პოზიციას და გონს მოვა.

– თუ არ შეერთდებით და ყველა ოპოზიციური პარტია არ იქნებით ერთიან პოზიციაზე, როგორ შეიძლება მივიდეს პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე?

– პოზიცია ერთიანია. მკითხეთ, შეხვედრაზე რატომ არ იყავიო და განვმარტე ჩემი პოზიცია.

– მაგრამ მოლაპარაკება, ერთიანი პლატფორმის წარმოებაც მნიშვნელოვანია. ასე არ ფიქრობთ?

– ერთად დგომა საჯარო ღონისძიებებზე, მიტინგებსა და საბჭოებზე არ არის საჭირო, იმიტომ რომ ამომრჩეველს არ შეუძლია გაიგოს, როგორ შეიძლება ვითანამშრომლო მე ნაცმოძრაობასთან. მე ჩემი ამომრჩევლის პოზიციას ვიზიარებ.

– ანუ ნაცმოძრაობასთან არც ერთ საკითხზე არ ითანამშრომლებთ? ეს არის თქვენი გადაწყვეტილება?

– გაჩნია თანამშრომლობას. მაგალითად, შარშან ვენეციის კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით ერთობლივ პოზიციას მოვაწერეთ ხელი. მაგრამ ერთ სტრუქტურაში და ერთ საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობას ვერ მივიღებთ. ისინი თუ მიტინგს ჩაატარებენ, ჩვენ ვერ მივიღებთ მასში მონაწილეობას, მაგრამ ის, რომ ერთიანი პოზიცია გვქონდეს, ეს ასეა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს იყო კონსტიტუციურ რეფორმასთან დაკავშირებით და კიდევ შეიძლება მოხდეს.

მე ვფიქრობ, ნაციონალური მოძრაობის ირგვლივ ოპოზიციის გაერთიანება მცდარია. ეს ოპოზიციას არაფერს შემატებს, პირიქით, ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს. მეორე ტურმა ძალიან ნათლად დაადასტურა, რომ თუ ყველაფერი ორ ნაწილად იყოფა – „ოცნება“ და ნაცმოძრაობა, ჯერჯერობით „ოცნების“ მომხრე მეტია. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი არა 2 ნაწილად, არამედ 3 ნაწილად უნდა გაიყოს. თუ იქნება მესამე ძალაც, მაშინ „ოცნებაც“ და ნაცმოძრაობაც უმრავლესობას დაკარგავს.

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნას თუ იზიარებთ?

– რა თქმა უნდა, ვიზიარებ, თუმცა მიმაჩნია, რომ პრიორიტეტული არის საარჩევნო სისტემის შეცვლა. ძველი სისტემით არჩევნების ჩატარებას აზრი არ ექნება და ისეთივე მახინჯ პარლამენტს მივიღებთ, როგორიც დღეს გვაქვს.

– როდესაც ამბობთ, რომ ნაცმოძრაობის პლატფორმაზე დგომა პრინციპულად მიუღებელია, ხომ არ ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნების“ სატელიტის იარლიყი შეიძლება მოგაკერონ?

– მიჩვეული ვარ. „ოცნების“ სატელიტობას რა უჭირს, პუტინის ჯაშუშობას მაბრალებდნენ, მარიონეტობას და ა.შ. მაგრამ ჩვენ არც „ოცნებასთან ვთანამშრომლობთ. მეორე ტურში ჩვენ გვქონდა მკაფიო პოზიცია, ვთქვი, რომ მიდით და გადახაზეთ ორივე. ეს ზოგს „ქოცობა“ ჰგონია, ზოგს „ნაცობა“, მაგრამ საღად მოაზროვნე ადამიანი მიხვდება, რომ როცა ამბობ ორივე გადახაზე, ეს ნიშნავს, რომ ორივე მიუღებელია.

გეთანხმებით, რომ არიან ისტერიული ადამიანები, რომლებსაც სატელიტების მიკერების მდიდარი ტრადიცია აქვთ.

– ბურჯანაძემაც თქვა „პალიტრანიუსის“ ეთერში, უახლოეს პერიოდში გამოჩნდება, ვინ ხელისუფლების სატელიტია და ვინ რეალური ოპოზიციაო.

– მე მგონი, თქვენ კარგი მეხსიერება გაქვთ და კარგად იცით, რომ ერთადერთი თუ არა, ერთერთი იშვიათი გამონაკლისია ჩვენი პარტია, რომელიც არასდროს ყოფილა შემჩნეული „ოცნების“ სატელიტობაში. ბევრი პარტია მეგობრულად იყო მასთან შეხმატკბილებული, მაგრამ მერე რაღაც პერიოდი აერიათ ურთიერთობა. ჩვენ მუდმივად მის ოპოზიციაში ვიყავით.

კონკრეტულად არავის ვგულისხმობ. ჩვენ არ ვყოფილვართ არც კოალიციაში და არც რაიმე ფორმალური კომუნიკაცია გვქონია „ქართულ ოცნებასთან“. ვერ გაიხსენებთ ვერც ერთ ეტაპს, რომ ტონი შევარბილეთ „ქართული ოცნების“ მიმართ. სხვა პარტიებს ჰქონდათ ასეთი მომენტები, როცა ერიდებოდნენ მასთან ურთიერთობების დაძაბვას.

– როგორ წარმოგიდგენიათ მესამე ძალის შექმნა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე?

– რთულია. ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირთულე ქართული ხასიათია. ყველას მიაჩნია, რომ თვითონ მაღლა უნდა იდგეს და ვიღაცა – დაბლა. ეს ასეთი ტიპის გაერთიანებებს ხელს უშლის. ამიტომ მე ყველას ვთავაზობ, რომ ასეთი ტიპის გაერთიანებების მიმართ იყოს პარიტეტის პრინციპი.

თუ პარტიები ვერ მოვახერხებთ ამ ტიპის მესამე ცენტრის ფორმირებას, მე, პირადად, ვფიქრობ, რომ შესაძლებელია სამოქალაქო მესამე ცენტრის შექმნა. აუცილებელი არ არის, რომ მაინცდამაინც პარტიებმა შექმნან ეს მოძრაობა, რომელიც გააერთიანებს ქართველ საზოგადოებას. შეიძლება აქ იყვნენ სტუდენტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბლოგერები... ძალიან ფართო წრე. მარტივი ამოცანა არ არის.

ადვილი იქნებოდა, რომ იმ პარტიებს, რომლებმაც საპრეზიდენტო არჩევნებზე რაღაც შედეგი ვაჩვენეთ, შეგვექმნა ახალი ცენტრი, რა თქმა უნდა, სხვა პარტიებთან ერთად. მაგრამ, როგორც ჩანს, ამის მზადყოფნა ჯერჯერობით არ არსებობს.

– სხვა პარტიებთან გაქვთ ბოლო პერიოდში კონსულტაციები?

– მუდმივად.

– როგორი პოზიცია აქვთ?

– სხვადასხვაგვარია. ზოგი მეტ მზადყოფნას გამოთქვამს, ზოგს კი მიაჩნია, რომ არ არის საჭირო ასეთი ფორმირება და აგერ ნაცებთან ერთიანი ფორმატი უნდა იყოს შექმნილი.

– ეს ალბათ ცოტა შორეული პერსპექტივაა. უახლოეს პერიოდში რა გეგმა გაქვთ?

– არ არის ეს შორეული, უახლოესი პერიოდის გეგმაა. მე პირადად ვგეგმავ, რომ აღდგეს პოლიტიკური რვიანი, რომელიც საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ერთიან სტრატეგიას ჩამოაყალიბებს.

წინასწარ რომ ვიცოდე პარტიები, უკვე შექმნილი იქნებოდა. ვმუშაობთ ამ თემაზე. პირობითად ვარქმევ „რვიანს“, შეიძლება 7 პარტია იყოს ან 9. ამას ახალ წლამდე გავარკვევთ. რა თქმა უნდა, კომუნიკაცია სამოქალაქო საზოგადოებასთანაც გვაქვს.

– პრეზიდენტობის კანდიდატობას სთავაზობდით ლევან ვასაძეს. მასთანაც ხომ არ გქონიათ კომუნიკაცია ბოლო პერიოდში?

– ვასაძე არ არის ამ ტიპის პრობლემატიკით დაინტერესებული.

– როცა „ოცნება“ არ მოდის თანამშრომლობაზე და ამბობს, რომ კონსტიტუციაში ყველაფერი გაწერილია, საარჩევნო კანონმდებლობის შესაცვლელად რა ბერკეტები გრჩებათ?

– „ოცნება“ კი არა, კომუნისტური პარტიაც არ მოდიოდა, მაგრამ, როდესაც წნეხი იყო, მას მოუხდა უკანდახევა. ამიტომაც, ეჭვი არ მეპარება, რომ „ქართული ოცნება“ უკან დაიხევს. ღრმად ვარ დარწმუნებული, არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება. პრობლემა ის არის, რა ვადებში და რა ფორმით მოხდება.

თუ ეს მოხდა 100.000 ადამიანის ქუჩაში გამოსვლის გზით, ეს ნიშნავს, რომ ახალ მანკიერ წრეზე წავალთ – „ოცნება“ კი დამარცხდება, მაგრამ ვიღაც სხვა მიიღებს საკონსტიტუციო უმრავლესობას. ამიტომ ვამბობ, რომ ეს უნდა მოხდეს მოლაპარაკების მაგიდასთან.

ჩვენი ამოცანაა, ესტონური პარლამენტი მივიღოთ, სადაც არც ერთ პარტიას არ ექნება არც საკონსტიტუციო და არც უბრალო უმრავლესობა და 5-7 პარტია, რომელიც ასახავს საზოგადოებაში არსებულ მრავალფეროვნებას, იქნება პარლამენტში წარმოდგენილი. ნებისმიერი სხვა სცენარი ნიშნავს, რომ პოლიტიკური არასტაბილურობა მუდმივი პროცესი იქნება.

– „ოცნებაში“ ამას ვერ ხვდებიან?

– ვერ ხვდებიან. იქ ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, რომლებსაც პოლიტიკური გამოცდილება აქვთ. ძირითადად „ქართუს“ მენეჯერები არიან.

– პრეზიდენტს ბიუჯეტს უმცირებენ და სარეზერვო ფონდს უუქმებენ. ხომ არ არის ეს პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინება?

– ზოგადად ბიუროკრატიის შემცირება სწორია, მაგრამ, როცა ეს ხდება ერთი ინსტიტუტის ხარჯზე, ნათელია, რომ ადგილი აქვს არა ბიუჯეტის ეკონომიას, არამედ ამ ინსტიტუტის დაკნინებას. ამას არ მიესალმება არც ერთი პარტია, არც ერთი არასამთავრობო და, რაც მთავარია, ძალიან მკვეთრად გააკრიტიკა ვენეციის კომისიამ.

საქართველოს ყველაზე მეტად შეეფერება ის მოდელი, როცა პრეზიდენტი იქნება ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი და მას ამისთვის გარკვეული ბიუროკრატიული რესურსიც უნდა ჰქონდეს.

ოკუპირებულ აფხაზეთში „საპრეზიდენტო“ არჩევნების გადმოწევას სოხუმის საკრებულოშიც მოითხოვენ

ცხინვალი სოხუმის „საგარეო“ პოლიტიკას შენატრის

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში ვადამდელი „საპრეზიდენტო“ არჩევნების საკითხი ისევე ხშირად განიხილება, როგორც თბილისში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება.

ყველაზე მეტად აფხაზეთში რაულ ხაჯიმბას უსუსური და კორუმპირებული პრეზიდენტობის ვადამდე დასრულებას ოპოზიცია მოითხოვდა. ბოლო დროს ამ თემაზე უფრო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის, „აფხაზეთის ახალგაზრდობის ფორუმი“ გააქტიურდნენ. მოთხოვნის შესარბილებლად აღარ გამოიყენებოდა ტერმინი „ვადამდელი“ აქტივისტები აცხადებდნენ, რომ სასურველია 2019 წლის ზაფხულში დაგეგმილი არჩევნების გაზაფხულზე ჩატარება.

საზოგადოების ამ ნაწილის პრეტენზიას იზიარებენ სოხუმის თვითმმართველობის არჩეული დეპუტატები. არჩევნების რამდენიმე თვით გადმოტანა ქალაქის საკრებულოშიც მოითხოვეს. მათი განმარტებით, ზაფხული ტურისტული

სეზონის პერიოდია, არჩევნები კი ამას ხელს შეუშლის.

ხაჯიმბას პრესსამსახურს ნათქვამი აქვს, რომ არჩევნები წელიწადის დროებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული და დადგენილი ვადები არ შეიცვლება.

ხაჯიმბას გარემოცვამ სოხუმის საკრებულოს დეპუტატებსაც უპასუხა.

– ვიღაცის ამოცანაა, არ მისცეს ამ ხელისუფლებას ვადის ამოწურვამდე მუშაობის საშუალება, – ასკვნიან ავტორები.

ამასთან, ხაჯიმბას აპარატი აცხადებს, რომ კონსტიტუციით დადგენილ ვადებზე 5 ან 6 თვით ადრე არჩევნების დანიშვნას მოითხოვენ და ხელისუფლებას ამხელენ ის პირები, რომლებიც ადრე იკავებდნენ თანამდებობებს. ეს ხალხი ამახინჯებს ფაქტებს და ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ადრე, 2014 წლამდე, ყველაფერი კარგად იყო. ეს სიცრუეა. ეს ადამიანები აქტიურობენ მხოლოდ იმიტომ, რომ შემოსავლებიდან წილებს ელოდნენ და ვერ მიიღეს.

ხაჯიმბას გარემოცვის მტკიცებით, აფხაზეთში წინსვლაა – „სახელმწიფო“ ბიუჯეტი 5 მილიარდ რუბლამდე გაიზარდა საკუთარი შემოსავლების ხარჯზე. ბიზნესმენები, ძირითადად, აგრძელებენ საქმიანობას და იხდიან გადასახადებს. ნაწილმა ბიზნესი დახურა, იმიტომ, რომ სახელმწიფოსაგან ფული ვეღარ მიიღო.

რეალურად, აფხაზეთში დიდი კორუფციაა და შავი ფული ტრიალებს. ბიუჯეტი, რომელიც, დიდწილად, რუსეთის სუბსიდიებით ივსება, ვერ სრულდება. პატარა ჯგუფის გამდიდრების პარალელურად, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, რამაც გაზარდა უკმაყოფილება რუსეთის მიმართ.

აფხაზი საზოგადოება გაწბილებულია იმითაც, რომ დაპირებული დამოუკიდებლობა არ ჩანს.

მეორე ოკუპირებული მხარე, ცხინვალის რეგიონი, რამდენჯერმე ცდილობდა რუსეთთან მიერთებას. დღეს იქიდან სხვა ნოტები გაისმის.

ცხინვალელი პოლიტოლოგები აფხაზეთთან ურთიერთობის წლის შედეგების შეჯამებისას სოხუმის „საგარეო“ პოლიტიკას შენატრიან და თავიანთ ჩამორჩენაზე საუბრობენ.

დინა ალბოროვას თქმით, აფხაზეთს უფრო აქტიური საგარეო საქმიანობა აქვს. მაგალითად, აფხაზებს ჰყავთ ოფიციალური წარმომადგენელი თურქეთში. აღიარებს თუ არა თურქეთი აფხაზეთს, სხვა საკითხია. აფხაზები ძალიან აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით.

მისივე თქმით, აფხაზები სარგებელს იღებენ იმითაც, რომ უშვებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს „საქართველოს მხრიდან“. აფხაზი ახალგაზრდების ნაწილი დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებშიც ახერხებს სწავლას.

დუნდუა: „სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლის გადავადების გადაწყვეტილება მთავრობამ მიიღო“

ფინანსთა მინისტრის მოადგილე მიხეილ დუნდუა იმ მიზეზებს განმარტავს, რის გამოც სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლის ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება გადაიდო.

მისი თქმით, 15 ნოემბრის ნაცვლად რეგლამენტი 15 იანვარს ამოქმედდება.

დუნდუას თქმით, იმპორტიორები, რომლებსაც აღნიშნული რეგლამენტი ეხებოდათ, არ იყვნენ მზად იმ დოკუმენტაციის წარდგენისთვის, რომელსაც მათ რეგლამენტი ავალდებულებდა.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანი იყო, რომ წლის ბოლოსთვის მათ დამატებითი ფინანსური დანაკარგები არ ჰქონოდათ.

დუნდუა აცხადებს, რომ ვადის გადაწევაზე გადაწყვეტილება მიიღო არა ფინანსთა სამინისტრომ, არამედ – მთავრობამ.

კომიტეტის თავმჯდომარემ რომან კაკულიამ ფინანსთა სამინისტროსგან მოითხოვა განმარტება იმის თაობაზე, თუ რატომ გადაიდო მომავალი წლის იანვრამდე იმ ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება, რომელსაც ქვეყანაში ხარისხის კონტროლის მექანიზმები შემოჰქონდა და 15 ნოემბრიდან უნდა შესულიყო ძალაში.

ბმ.გე

პანორამა თბილისის დამაკავშირებელი საბაგიროს მშენებლობაზე ბიძინა ივანიშვილის ფონდი 10 მლნ აშშ დოლარს დახარჯავს

პანორამა თბილისის პროექტის ფარგლებში, 2019 წლის ბოლოს თბილისში საბაგირო აშენდება და მას საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქცია ექნება, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც ტურისტების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო და სწრაფ გადაადგილებას. საბაგიროს მშენებლობა უკვე დაწყებულია. პროექტის ფარგლებში, საბაგიროს ორ დამოუკიდებელ ხაზზე დამონტაჟდება 8–ადგილიანი 34 გონდოლა, რომლებიც საათში 1.000 ადამიანის გადაადგილებას უზრუნველყოფს. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 10 მლნ აშშ დოლარს აღემატება. ამჟამად, პროექტის ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულია 50 ადამიანი.

ეკოლოგიურად სუფთა, სატრანსპორტო საშუალება სათავეს აიღებს თავისუფლების მოედანთან მდებარე უმაღლესი კლასის ბრენდის „Luxury Collection"-ის სასტუმროდან, რომელიც შემდგომ უკვე დაუკავშირდება სოლოლაკის ქედზე მდებარე საკონფერენციო ცენტრის მასშტაბურ პროექტს და ბოლოს თაბორის ქედზე არსებულ სასტუმროსა და გოლფ კლუბს. პროექტს „საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი" ახორციელებს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის თანაინვესტირების ფონდის ინიციატივით არის შექმნილი.

სრული პროექტის დაგეგმარებას და საბაგირო დანადგარებით აღჭურვას უზრუნველყოფს ავსტრიულ-შვეიცარიული კომპანია „დოპელმაიერი" (Doppelmayr), ხოლო სამონტაჟო სამუშაოებს განახორციელებს ავსტრიული კომპანია „არ-ემ-ესი" (RMS).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სწორედ ამ პროექტის მეშვეობით, საქართველო იქნება რიგით მეორე ქვეყანა, სადაც განთავსდება შენობაში ინტეგრირებული საბაგიროს სადგური. პირველად, მსგავსი პროექტი კომპანია „დოპელმეიერმა" ჩინეთში, კერძოდ, მაკაოს რეგიონში განახორციელა. შეგახსენებთ, 2016 წლის ოქტომბერში „საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი", საქართველოს თანაინვესტირების ფონდის ინიციატივით ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული საინვესტიციო პროექტებისთვის შეიქმნა.

„თიბისი ბანკში" პრობლემური სესხების რაოდენობა 120 მლნ ლარია

– თიბისი ბანკი მზადაა, შეუერთდეს პრობლემური სესხების გაუქმების ინიციატივას დაბალშემოსავლიანი მოქალაქეებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სასარგებლოდ.

ამის შესახებ „თიბისი ბანკი" აცხადებს.

მათი ინფორმაციით, ასეთი სახის სესხების საერთო მოცულობა „თიბისი ბანკში" შეადგენს 120 მილიონ ლარს და ის ბანკის მთლიანი საკრედიტო პორტფელის 1%-ია.

„თიბისი ბანკის" მიერ გავრცელებულ განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ არასაბანკო სექტორის ახალი რეგულაციები და საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვრის დაწესება ხელს შეუწყობს მომავალში უპასუხისმგებლო დაკრედიტების მასშტაბების შემცირებას.

„თიბისი ბანკი", როგორც საქართველოს ბაზარზე უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტი, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება ქართული ფინანსური სექტორის და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობასა და სტაბილურობას.

„თიბისი ბანკი" მზადაა, შეუერთდეს პრობლემური სესხების გაუქმების ინიციატივას დაბალშემოსავლიანი მოქალაქეებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სასარგებლოდ. ასეთი სახის სესხების საერთო მოცულობა „თიბისი ბანკში" შეადგენს 120 მილიონ ლარს და ის ბანკის მთლიანი საკრედიტო პორტფელის მხოლოდ 1%-ია. აღნიშნული ტრანზაქცია დასრულდება 2018 წლის ბოლომდე.

გაცხადებული 1.5 მილიარდი ლარის ოდენობის პრობლემური სესხების პორტფელში საქართველოს საბანკო სექტორის წილი 30%-ზე ნაკლებია, ხოლო „თიბისი ბანკის" წილი აქედან მხოლოდ 8%-ია.

ეს მაჩვენებლები ადასტურებს, რომ საქართველოს საბანკო სექტორი არ წარმოადგენს მოსახლეობის ჭარბვალიანობის უმთავრეს მიზეზს. არასაბანკო სექტორის ახალი რეგულაციები და საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვრის დაწესება ხელს შეუწყობს მომავალში უპასუხისმგებლო დაკრედიტების მასშტაბების შემცირებას.

მიგვაჩნია, რომ ბოლო ხანებში გააქტიურებული ანტისაბანკო რიტორიკა აზიანებს საქართველოში და რეგიონში აღიარებულ ყველაზე პროგრესულ და განვითარებულ ინდუსტრიას – საბანკო სექტორს. ეს ტენდენცია საბოლოო ჯამში ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო იმიჯს, ეკონომიკის განვითარებასა და ფინანსურ სტაბილურობას.

„თიბისი ბანკი" მნიშვნელოვნად გაზრდის ინვესტიციებს მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლების კუთხით, რადგან საბანკო სექტორის გამართული მუშაობა და მისი მდგრადობა წარმოადგენს ქვეყნის სტაბილურობის გარანტიას," – ნათქვამია განცხადებაში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის იანვარში დახურვის გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული – სამი მოთხოვნა მთავრობას

კომერსანტი წერდა, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა შპს რუსთავის ფოლადი უახლოეს დღეებში ერთ ღუმელს აჩერებს და იანვარში მეორეს გაჩერებას გეგმავს. (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ღუმელს აჩერებს – რომან კაკულია მოვუწოდებ ეკონომიკის სამინისტროს, რაც შეიძლება მალე წარადგინონ ანტიდემპინგური კანონპროექტი). მიზეზი ირანიდან შემოსული დემპინგური არმატურა და ზოგადად დემპინგის პრობლემაა, რაზეც ქარხნის ხელმძღვანელობა რამდენიმე თვეა საუბრობს და უშედეგოდ ცდილობს მთავრობის ყურადღების მიქცევას. სწორედ ხელისუფლების მხრიდან საკითხის მოგვარების გაჭიანურება შეიძლება გახდეს 2000 ადამიანისთვის სამსახურის დაკარგვის და, შესაბამისად, უმუშევრად დარჩენის მიზეზიც.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ განცხადება გაავრცელა, რომელსაც კომერსანტი უცვლელად გთავაზობთ:

ვეხმაურებით მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას და ვაცხადებთ, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის იანვარში დახურვის გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. ამჟამად მიმდინარეობს საწარმო სიმძლავრეების ეტაპობრივი შემცირება, ირანიდან შემოსული დაბალხარისხიანი დემპინგური პროდუქციის გამო. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ შენარჩუნებული იყოს სამუშაო ადგილები. შემდგომ გადაწყვეტილებას კომპანია მიიღებს 2019 წლის იანვარში და ის დამოკიდებულია მთავრობის მიერ მიღებულ ზომებზე.

ჩვენ არაერთხელ გაგვიცხადებია საჯაროდ, რომ ბოლო თვეებში საქართველოს ფოლადის ბაზარზე შეიქმნა მძიმე მდგომარეობა, რადგან არ იყო მიღებული ზომები დემპინგური იმპორტის შესაჩერებლად. ეს სამწუხარო ტენდენცია კვლავ გრძელდება, რაც ადგილობრივ მწარმოებლებს მძიმე მდგომარეობაში აყენებს.

ფოლადის ადგილობრივი მწარმოებლები, სხვა ქვეყნების მწარმოებლებთან შედარებით, ჩაყენებული არიან არათანაბარ საბაზრო პირობებში. ჩვენ ვითხოვთ მთავრობის შემდეგ მოქმედებებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად:

1. შეჩერდეს ირანიდან დემპინგური პროდუქციის იმპორტი;

2. აღდგეს ფოლადის ბაზარზე სიმეტრიული სავაჭრო პირობები საქართველოს ფოლადი – ირანი – ევროკავშირი – ინდოეთი – ეგვიპტე – ბელარუსი – ბრაზილია – ეგვიპტე – ინდოეთი – ევროკავშირი – ირანი – ფოლადი;

3. შეჩერდეს ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ელექტროენერგიის ტარიფების დაგეგმილი ზრდა – პარლამენტში აჩქარებული წესით განიხილება შესაბამისი კანონი.

როგორც ექსპორტზე ორიენტირებული კონკურენტული წარმოება, ჩვენ ვემხრობით თავისუფალ ვაჭრობას. ჩვენ მხოლოდ ვითხოვთ თავისუფალი ვაჭრობის სიმეტრიული წესების დაცვას.

ზამთრის სეზონს ზემო სვანეთი წელსაც წყლის, ელექტროენერგიის, გზებისა და ამბულატორიების პრობლემებით ხვდება

22 დეკემბერს მესტიაში ზამთრის სეზონი ოფიციალურად იხსნება. როგორც მესტიის მერმა კახა ჟორჟოლიანმა „კომერსანტს" განუცხადა, მთის კურორტი ტურისტებს მომზადებული ხვდება. დამსვენებლებს ჯამში 7 საბაგირო მოემსახურება. კერძოდ, მესტია-ჰაწვალის მიმართულებით სამი საბაგირო, ხოლო თეთნულდის მთაზე ოთხი საბაგირო იმოძრავებს. გარდა ამისა მესტიაში ბავშვებისთვის ორი საბაგიროა მოწყობილი. თუმცა მესტიის მერი აცხადებს, რომ რეგიონში არსებული საბაგიროები და სასრიალო ტრასები არასაკმარისია, ეს კი ტურისტების მოთხოვნის ზრდამ განაპირობა.



კახა ჟორჟოლიანის განცხადებით, მომავალი წლისთვის საბაგიროების რაოდენობის ზრდა მესტიასა და მულახში მოხდება, თუმცა ამ ეტაპზე მათი ოდენობა უცნობია. ამასთან, გარდა საბაგიროებისა, მესტიაში სასრიალო ტრასებიც მზადაა. ტრასებთან ერთად ტურისტების მისაღებად მომზადებული და აღჭურვილია ყველა სასტუმრო.

– სვანეთში არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით საუკეთესო თოვლი მოდის. მთის კურორტებიდან ერთადერთია, სადაც ხელოვნური გათოვლიანების საჭიროება არ დგას და თოვლის საფარიც 5 თვის განმავლობაში ხარისხიანია, – განაცხადა კახა ჟორჟოლიანმა.

„კომერსანტი" მესტიის მერს მუნიციპალიტეტში არსებულ სხვა ინფრასტრუქტურულ პრობლემებზეც ესაუბრა.

როგორც კახა ჟორჟოლიანმა განაცხადა, ელექტროენერგიის პრობლემა, მესტიასა და მასში შემავალ სოფლებში, ფაქტობრივად, მოგვარებულია, მხოლოდ ორი სოფელია – ჰეშკილი და ხალდეა, რომლებსაც დენი არ მიეწოდება.

– ხალდე და ჰეშკილი ტურისტულად მიმზიდველი ხდება და საქართველოს მთავრობამ ამ ორი სოფლის ელექტროფიკაცია მომავალი წლის ბიუჯეტში უკვე გაითვალისწინა და ორივე მათგანი ერთად მილიონ ლარამდე ჯდება, – აღნიშნა კახა ჟორჟოლიანმა.

„კომერსანტთან" საუბრისას მესტიის მერი ზემო სვანეთის ყველაზე დიდ პრობლემად წყლის სისტემებს და შიდა გზებს ასახელებს. როგორც კახა ჟორჟოლიანი აცხადებს, სწორედ წყლის პრობლემა იწვევს მუნიციპალიტეტში შიდა გზების არარსებობას, რადგან ჯერ წყლის სისტემების მოწესრიგება უნდა მოხდეს.

ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტში 160 სოფლიდან საიდანაც ერთ-ერთი დაბა მესტიაა, 145 სოფელში სოფლის პროგრამით წყლის სისტემები ინდივიდუალურად არის მოწყობილი. მერის განცხადებით, ინდივიდუალური წყალმომარაგების ნაცვლად მესტიაში ცენტრალური წყალმომარაგების სისტემები უნდა მოეწყოს და ამაზე „აზიის განვითარების ბანკთან" მოლაპარაკებები მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. თუმცა, კახა ჟორჟოლიანი ზემო სვანეთში წყლის სისტემების მოწესრიგების ზუსტ დროს ვერ ასახელებს, მაგრამ აცხადებს, რომ პრობლემის მოგვარებას 145 მილიონ ლარზე მეტი სჭირდება.

რაც შეეხება შიდა გზების პრობლემას, საერთო ჯამში ზემო სვანეთში 800 კმ-ზე მეტი შიდა გზაა მოსაწესრიგებელი, რაც მილიონი ლარი ჯდება.

კახა ჟორჟოლიანის განცხადებით, ზემო სვანეთში შიდა გზების პრობლემა დგას. მაგალითად, მესტიაში მერიას შიდა გზებზე 10 მილიონი ლარის პროექტი აქვს მომზადებული. კახა ჟორჟოლიანის თქმით, დაბა მესტიაში წყლის სისტემები მოწესრიგებულია და გზების დაგებაც თავისუფლადაა შესაძლებელი, რაც პერიოდულად მიმდინარეობს.

„კომერსანტი" მერს ამბულატორიების შესახებაც ესაუბრა, რაც მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად პრობლემატურ საკითხად რჩება. კახა ჟორჟოლიანის განცხადებით, წლევანდელ ზამთარს ზემო სვანეთი ერთი ცენტრალური საავადმყოფოთო და ორი სასწრაფო დახმარების მანქანით, ასევე სოფლის ექიმებით ხვდება. ჯამში, ზემო სვანეთში 16 ამბულატორიაა, თუმცა აქედან გამართულად მხოლოდ 4 ამბულატორია მუშაობს.

– ფიქრობთ თუ არა ახალი ამბულატორიების დამატებას?

– დამატებაზე არა, არსებულის გამართვაზე ვმუშაობთ, რათა მათ შეესაბამისი აღჭურვილობა ჰქონდეთ. თუმცა სათხილამურო ზონებში ჰაწვალსა და თეთნულდზე დამატებითი თანამედროვე დამხმარე აღჭურვილობით სამედიცინო პერსონალი დგას.

– რაც შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, ზურულდზე „კავკასიის მთის ცენტრის" მშენებლობას, როგორც ჟორჟოლიანი აცხადებს, იგი 2019 წლის გაზაფხულზე დაიწყება. „კავკასიის მთის ცენტრში" კავკასიელი ალპინისტების მუზეუმი იქნება, სადაც მათ შესახებ ამომწურავი ინფორმაცია და ისტორია განთავსდება.

„დაპროექტება დასრულებულია. ახლა სამშენებლო ადგილის გამოსყიდვაზე უნდა გადავიდეთ და მომავალ წლის გაზაფხულზე მშენებლობის ეტაპი დავიწყოთ," – განაცხადა ჟორჟოლიანმა.

შეგახსენებთ, მსოფლიოში ცნობილმა თამამსვლელმა რაინჰოლდ მესნერმა „კავკასიის მთის ცენტრის" შექმნის შესახებ გადაწყვეტილება 2017 წლის ივლისში, საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრთან გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრის შემდეგ მიიღო. მესნერი, წლებია, იტალიის ალპებში მთის მუზეუმების ქსელს ავითარებს და „კავკასიის მთის ცენტრი" სწორედ ამ ქსელის შემადგენელი ნაწილი იქნება.

ცნობილი ალპინისტი 2017 წელს გიორგი კვირიკაშვილის მოწვევით ქართულ მთებს სივრცითი დაგეგმარების ექსპერტებთან და „მთის კურორტების განვითარების კომპანიის" წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

რაინჰოლდ მესნერის თქმით, პროექტი დიდი შესაძლებლობაა, რომ საქართველო მოექცეს მსოფლიო ალპინიზმის ყურადღების ცენტრში, რისი პოტენციალიც ქვეყანას ნამდვილად გააჩნია.

მთავრობის ყოფილი მეთაურის შეფასებით, „კავკასიის მთის ცენტრი" იქნება მნიშვნელოვანი ბიძგი მთამსვლელებისთვის და საქართველოში ამ მიმართულების სამომავლო განვითარებისთვის. როგორც კვირიკაშვილი აცხადებდა, ეს იქნება ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის კიდევ ერთი დიდი შესაძლებლობა.

მინდია გოგოჭურს ბრალი წაუყენეს

ადვოკატები პოლიტიკურ მოტივზე ალაპარაკდნენ



პრეზიდენტის სიძეს, მინდია გოგოჭურს, ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. მინდია გოგოჭურს გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვასა და დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავება.

ბრალის წარდგენის პროცესს ადვოკატებიც ესწრებოდნენ. ადვოკატები ამბობენ, რომ გოგოჭურს წარდგენილი აქვს ბრალი ჯგუფურად იარაღის უკანონოდ შეძენისთვის, თუმცა, მათივე თქმით, საქმის მასალებში მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებია.

ადვოკატები ფიქრობენ, რომ საქმე ხელოვნურად არის დამძიმებული და არ გამორიცხავენ, რომ ამ საქმეს პოლიტიკური მოტივიც ჰქონდეს.

ადვოკატი გიორგი ბეგიაშვილი ამბობს, რომ საქმე დამძიმებულია და გოგოჭურისთვის ბრალის დამძიმებას პოლიტიზირებას უკავშირებს.

– საქმე რომ საშინლად დამძიმებულია, მანდ ორი აზრი არ არსებობს. ჯერ დადგენილი არ არის, ვისია იარაღი და უკვე ჯგუფურია ანუ საქმე ისე არის დამძიმებული, რომ გირაო მოსამართლემ არ შეუფარდოს და აუცილებლად შეუფარდოს მას პატიმრობა. მე უფრო აქ პოლიტიკურ სარჩულს ვხედავ, – ამბობს ადვოკატი.

ადვოკატი ნიკოლოზ ბიბილაშვილი ამბობს, რომ საქმის მასალებში ჯგუფური დანაშაულის პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს.

– ამის კონკრეტული პირდაპირი მტკიცებულება მასალებში, რაც ამ ეტაპზე პირდაპირ გადავხედე, არ არსებობს, გარდა, მხოლოდ და მხოლოდ, პოლიციელთა ჩვენებებისა, რომელთა ჩვენებაც, ვფიქრობ, ძალიან არასარწმუნო და არამყარია, როგორც მტკიცებულება, – განაცხადა ბიბილაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე მინდია გოგოჭური და გიორგი რაზმაძე 6 დეკემბერს დაიკავა.

სამართალდამცველებმა თბილისში, ამაშუკელის ქუჩაზე მდებარე დაკავებულების დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ამოიღეს.

ასევე, კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან ამოღებულია აღნიშნული პირების მიერ საცხოვრებელი ბინიდან გადმოყრილი 2 პისტოლეტი, რომლებზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

გიორგი რაზმაძე გადაიყვანეს პენიტენციარულ დაწესებულებაში, მინდია გოგოჭური კი – დროებითი მოთავსების იზოლატორში.

რუსთავში კამერუნის მოქალაქეზე თავდასხმა რასობრივ დისკრიმინაციად შეფასდა

28 ნოემბერს, რუსთავის N17 შიდასაქალაქო მარშრუტით მოძრავ მიკროავტობუსში კამერუნის მოქალაქეზე, კამერუნელ ჯორჯ უემსზე თავდასხმა რასობრივ დისკრიმინაციად შეფასდა.

ამის შესახებ „რადიო თავისუფლება“ წერს.

ჯორჯ უემსის განმარტებით, სამარშრუტო ტაქსიში მყოფმა ერთ-ერთმა პირმა, კანის ფერის გამო მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძალადობა) დაიწყო. ჯორჯ უემსს სამართლებრივად არასამთავრობო ორგანიზაცია „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“ იცავდა და საქმისთვის რასობრივი დისკრიმინაციის კვალიფიკაციის მინიჭებას ითხოვდა.

გამოძიების ინფორმაციით, საქმე სისხლის სამართლის 142 პრიმა მუხლით (რასობრივი დისკრიმინაცია) გადაკვალიფიცირდა. საქმის გამოძიება გრძელდება.

ჯორჯ უემსი 8 წელია, რუსთავში ცხოვრობს. აქვს საკუთარი ბიზნესი – ინგლისურ ენას ასწავლის; ამბობს, რომ რასიზმი ყველა ქვეყანაში არსებობს, ამას მიჩვეულია, მაგრამ პირველად მოხდა, რომ საქართველოში კანის ფერის გამო სცემეს.

„თოფით მოკლა, გვამი ხევში გადააგდო და მიიმალა“

ბრალდებულს 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობაში ბრალდებული თ.ვ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 5 მაისს, ღამის საათებში, მარნეულის რაიონის სოფელ სეიდგოჯალოში თ.ვ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა ნ.ვ., გვამი ხევში გადააგდო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა თ.ვ. 2018 წლის 5 აგვისტოს, მარნეულის რაიონის სოფელ სეიდგოჯალოში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით წარედგინა (განზრახ მკვლელობა) და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ თ.ვ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ორთაჭალაში მოტოციკლი სატვირთოს შეეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ორთაჭალაში – სატვირთო მანქანას მოტოციკლი დაეჯახა. თვითმხილველების ინფორმაციით, გაჩერებულ სადისტრიბუციო ავტომობილს მოტოციკლი შეეჯახა. მოტოციკლის მძღოლი მძიმედ დაშავდა. ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. შს სამინისტრომ გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

რუსთავი 2

ავარია წითელ ხიდთან

2 ადამიანი დაშავდა

წითელი ხიდის დამაკავშირებელ გზაზე სუძუკის მარკის ავტომობილი ბოძს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა.

მათ სხეულის მცირე დაზიანებები აღენიშნებათ. ერთ-ერთი დაშავებული კლინიკა რუსთავშია გადაყვანილი.

მძღოლის განცხადებით, მას მოსახვევში მანქანა მოუცურდა და საჭე ვერ დაიმორჩილა.

ზუგდიდში აფთიაქი დააყაჩაღეს

ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე აფთიაქი „ნეოფარმი“ დააყაჩაღეს. დაწესებულებაში ნიღბიანი მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით ხელში შეიჭრა და სალაროდან ფული წაიღო.

აფთიაქში სამართალდამცავები მუშაობდნენ. დაკითხვაზე გადაიყვანეს აფთიაქის თანამშრომელი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიწების უცხოელებზე გასხვისებაზე მორატორიუმი არაკონსტიტუციურად ცნო

საკონსტიტუციო სასამართლომ მიწების უცხოელებზე გასხვისებასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ დაწესებული მორატორიუმი არაკონსტიტუციურად ცნო.

2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო განჩინება საქმეზე „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები 1267 და №1268).

კონსტიტუციური სარჩელებით სადავო იყო „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის ამოქმედებამდე ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის საკუთრების უფლების შეჩერებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ლეგიტიმური მიზნების იდენტურია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კონსტიტუციური კანონი ძალაში შესვლამდე ვერ ჩაითვლება მოქმედი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სისტემის ნაწილად. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში შესული და მომავალში ასამოქმედებელი ცვლილება, რომლის თანახმადაც ახლებურად ყალიბდება საკუთრების ძირითადი უფლების მარეგლამენტირებელი კონსტიტუციური დებულება, გავლენას არ ახდენს მოქმედი კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების ფარგლებზე და არ განაპირობებს საქმის არსებითი განხილვის საჭიროებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებაში გამოხატული სამართლებრივი პოზიცია, დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა და სადავო ნორმა ძალადაკარგულად ცნო საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაციაშია აღნიშნული, განჩინებას თან ერთვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ევა გოცირიძის, მანანა კობახიძის და მერაბ ტურავას განსხვავებული აზრი.

ბადრი ბერიძე 3 წელია საფრანგეთის ციხეში ზის

ქართველი მეზღვაურის ოჯახი ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს

საფრანგეთში დაკავებული ქართველი მეზღვაურის ბადრი ბერიძის ოჯახი ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს.

როგორც ბადრი ბერიძის შვილმა გიორგი ბერიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, სამი წლის წინ თურქეთიდან საფრანგეთის მიმართულებით მოძრავი გემი „კარიბის პალმა“ დააკავეს, რომლის კაპიტანი ბადრი ბერიძე იყო.

როგორც დაკავებულის შვილი გიორგი ბერიძე აცხადებს, გემზე უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის – 2,4 ტონა კოკაინი აღმოაჩინეს, რის შესახებაც გემის კაპიტანს ინფორმაცია არ ჰქონდა.

დაკავებულის შვილი ამბობს, რომ ბადრი ბერიძე 3 წელია, საფრანგეთში ციხეში იმყოფება და მას ბრალს ვერ უმტკიცებენ.

ქართველ კაპიტანთან ერთად, ეკიპაჟის 12 წევრი დააკავეს, ისინი თურქეთისა და უკრაინის მოქალაქეები არიან.

გიორგი ბერიძე ამბობს, რომ მამამისი გემზე თურქულმა კომპანიამ დაასაქმა და მუშაობა რამდენიმე დღის დაწყებული ჰქონდა.

ბადრი ბერიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

– ამ ხნის განმავლობაში არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციას და საფრანგეთის ხელისუფლებას მივმართეთ. სამწუხაროდ, უშედეგოდ, ამ საკითხზე საფრანგეთის ხელისუფლების მხრიდან რეაგირება არ მომხდარა. საქართველოს ხელისუფლებას მივმართავ თხოვნით, რომ პირად კონტროლზე აიყვანონ მამაჩემის საკითხი, მას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებული აქვს.

სასამართლო პროცესი ამ ხნის განმავლობაში ხუთჯერ ჩატარდა და შედეგი არ არის. მტკიცებულება არ არსებობს მამაჩემის დანაშაულთან დაკავშირებით.

საფრანგეთის ხელისუფლებისგან გვქონდა შემოთავაზება, რომ პროცესის დასრულებამდე გვეპოვა პიროვნება, რომელიც პროცესების დასრულებამდე მამაჩემს თავდებში დაუდგებოდა და ციხიდან გამოუშვებდნენ.

ჩვენ ვიპოვეთ ასეთი პირი, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებდა, თუმცა საბოლოოდ მაინც არ გაითვალისწინეს.

სამი წელია მამაჩემთან კომუნიკაცია გვიჭირს, მას სათანადოდ ჯანდაცვითი მომსახურება არ ეწევა. ვითხოვთ, რომ მოგვაქციონ ყურადღება, – განაცხადა გიორგი ბერიძემ.

ზუგდიდში პოლიციელ ალექსანდრე ჩიქოვანის ცხედარი იპოვეს

ზუგდიდში, ხუბულავას ქუჩაზე, საპატრულო პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩხოროწყუს პოლიციის თანამშრომლის ალექსანდრე ჩიქოვანის ცხედარი იპოვეს. მას სამარშრუტო ტაქსი დაეჯახა. როგორც ზუგდიდის რეფერალური საავადმყოფოს კლინიკური დირექტორი სულხან ორჟონია იმედინეწს-თან ინტერვიუში განმარტავს, გვამი სხეულის მძიმე დაზიანებებით შეიყვანეს. მას სასიცოცხლო ფუნქციები არ აღენიშნებოდა.

გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

პოლიციის თანამშრომელს მიკროავტობუსი მაშინ დაეჯახა, როცა ის ქვეითად გზის გადაკვეთას ცდილობდა.

მძღოლს შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებია.

ბრიტანეთში რუსი ჯაშუშები გააქტიურდნენ

ბრიტანეთში რუსი ჯაშუშების მორიგი გააქტიურებაა მოსალოდნელი. ინგლისის კონტრდაზვერვის საიდუმლო მოხსენებაში ნათქვამია, რომ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე რუსები ახალ ტერაქტებს ამზადებენ.

ინგლისის კონტრდაზვერვა მოუწოდებს ყველა თავის თანამშრომელს, აგრეთვე პოლიციელებსა და სამხედროებს, სიფხიზლე გამოიჩინონ.

ცრუ განგაში სიენენის ბიუროში

განგაში, რის გამოც ნიუ იორკის ცენტრში ტელეარხ სიენენის ბიუროს ევაკუირება მოხდა, ცრუ აღმოჩნდა.

ამის შესახებ ინფორმაციას ქალაქ ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტი ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, პოლიციაში ზარი შევიდა იმის თაობაზე, რომ შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობაა. აღნიშნულთან დაკავშირებით ევაკუაცია გამოცხადდა. მათ შორის შენობიდან გაიყვანეს სიენენის ტოკშოუების მონაწილეები, რომლებიც პირდაპირ ეთერში იყვნენ.

მას შემდეგ, რაც სამართალდამცველებმა შესაბამისი ღონისძიებები ჩაატარეს, აღმოჩნდა, რომ შესული ინფორმაცია ცრუ იყო.

ჯორჯ ბუში უფროსი ტეხასის შტატში დაკრძალეს

ტეხასში შეერთებული შტატების 41-ე პრეზიდენტის დაკრძალვის ცერემონიალი გაიმართა.

ჯორჯ ბუში უფროსი მისივე სახელობის ბიბლიოთეკის ეზოში, მეუღლის გვერდით დაკრძალეს. დახურული ცერემონიალი, რომელსაც მხოლოდ მისი ოჯახის წევრები ესწრებოდნენ, საპატიო ყარაულისა და სამხედრო ორკესტრის თანხლებით გაიმართა.

ჰიუსტონიდან ჯორჯ ბუში უფროსის ცხედარი ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე მატარებლით მიასვენეს.

41-ე პრეზიდენტი უკანასკნელ გზაზე ლიანდაგის გასწვრივ შეკრებილმა რამდენიმე ათასმა ადამიანმა გაიცილა. ჯორჯ ბუში უფროსი გასულ კვირას 94 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გაეროში ჰამაზის საწინააღმდეგო რეზოლუცია ჩავარდა

აშშ-მ გაეროს გენერალურ ასამბლეაში ტერორისტული ორგანიზაცია ჰამაზის დასაგმობი რეზოლუცია შეიტანა.

მას 87-მა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი, 58 წინააღმდეგი წავიდა, 32-მა თავი შეიკავა.

შედეგად რეზოლუციამ საკმარისი ხმები ვერ დააგროვა და ჩავარდა.

– ის, რაც მოხდა, სამარცხვინოა! გამოდის, რომ გაერო ტერორიზმს მხარს უჭერს, – განაცხადა აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ნიკი ჰეილიმ.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ ნიკი ჰეილის გაეროში ჰიზერ ნოიერტი შეცვლის.

ნოიერტი მანამდე სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობდა.

კადიროვის ბიძაშვილმა გროზნოში სასიკვდილო ავარია მოახდინა

დაღუპულია დედა-შვილი



ჩეჩნეთის მოსახლეობა რამზან კადიროვისგან გროზნოში მომხდარ ავარიაზე რეაგირებას ითხოვს, რომელშიც მისი ბიძაშვილი, შალინსკის რაიონის ხელმძღვანელი ტურპალალი იბრაგიმოვი მონაწილეობდა.

ავარია 4 დეკემბერს ღამით, გროზნოს შესასვლელში მოხდა.

მერსედესის მარკის ავტომობილი, რომლის საჭესთანაც იბრაგიმოვიჩი იჯდა, დიდი სისწრაფით მოძრაობდა და ჟიგულის მარკის ავტომობილს შეეჯახა. ავარიის შედეგად ჟიგულის 2 მგზავრი, დედა-შვილი, ადგილზე დაიღუპა. მძღოლი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა მძიმეა. თავად იბრაგიმოვი არ დაშავებულა.

იბრაგიმოვის დაცვამ თვითმხილველებს ტელეფონები ჩამოართვა, რომ შემთხვევის ადგილიდან ფოტოები ინტერნეტში არ მოხვედრილიყო. ამასთან, მეორე დღეს ჩინოვნიკის გარემოცვის წევრებმა შემთხვევის ადგილთან ახლოს მდებარე სახლებში მცხოვრებლებიც შეამოწმეს, რომ მათ რაიმე ვიდეომტკიცებულება არ ჰქონოდათ.

ჩეჩნეთის სამართალდამცავი ორგანოები ავარიის ფაქტს ადასტურებენ და აცხადებენ, რომ გამოძიება მიმდინარეობს.

2015 წელს რამზან კადიროვმა მძღოლები, რომლებიც საგზაო წესებს გაცნობიერებულად არღვევენ, ტერორისტებს შეადარა და სასჯელის გამკაცრებაზე ალაპარაკდა. მან პირობა დადო, რომ ყველას დასჯიდა, მათ შორის, საკუთარ ნათესავებსაც.

2017 წლის შემოდგომიდან ჩეჩნეთის საგზაო პოლიციას კადიროვის ძმისშვილი იდრის ჩერხიგოვი ხელმძღვანელობს.

„თალიბანის“ თავდასხმას 14 ავღანელი სამხედრო ემსხვერპლა

ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში რადიკალური მოძრაობა „თალიბანის“ თავდასხმის შედეგად 14 ავღანელი სამხედრო დაიღუპა. ასევე გაიტაცეს 20 სამხედრო.

გუბერნატორის წარმომადგენლის თქმით, თავდასხმა სამხედროების პოსტზე 6 დეკემბერს, გვიან ღამით მოხდა.

მომხდარის სხვა დეტალები უცნობია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

უხელო ფერმერის და უფეხო ქალის სიყვარულმა მათ სახელი გაუთქვა

ჩინეთის ავტონომიური რაიონის შიდა მონღოლეთის მკვიდრი ინვალიდების ოჯახი ინტერნეტ-სენსაციად იქცა.

ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ ლიუ ხეიმ ხელები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაკარგა. 2007 წელს მან ტელევიზორში ნახა სიუჟეტი, რომელიც 13 წლის ასაკში უფეხოდ დარჩენილ ლი მეივენს ეძღვნებოდა. მამაკაცმა ქალი მოძებნა და მას ცოლობა სთხოვა.

– ჩვენ ორივეს გვექნება ხელებიც და ფეხებიც, – უთხრა ლიუმ, – ერთად ბედნიერად ცხოვრებას შევძლებთ.

ქალმა თანხმობით უპასუხა.

ამჟამად ისინი ერთად ზრდიან შვილს. ჰყავთ ქათმები და მოჰყავთ ბოსტნეული საკუთარ ფერმაში. ისინი უარს ამბობენ ყოველგვარი დახმარების მიღებაზე, ვინაიდან სურთ, რომ მათი ქალიშვილი დამოუკიდებელი გაიზარდოს.

– ფერმას ჩვენ სამისთვის საკმარისი შემოსავალი მოაქვს და არ გვსურს, რომ სხვისი ხელის შემყურენი ვიყოთ, განაცხადა ლიუ ხეიმ.

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საფრანგეთში აქციების გამო ტური გადაიდო

სტატისტიკა, ფსონები

ამ უქმეებზე ევროპა საფრანგეთს მოისაკლისებს. იქ ბენზინის გაძვირებასთან დაკავშირებით აქციებია და ტური ამის გამო გადაიდო. სხვაგან ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და ამ გეგმით ინგლისში სუპერმატჩია – ლონდონის ჩელსი შინ ლიდერ მანჩესტერ სიტის დაუხვდება.

სხვა ქვეყნებშიც არის რამდენიმე საინტერესო შეხვედრა. მაგალითად, ბარსელონური დერბი (ესპანიოლი-ბარსელონა) ესპანეთში და რურის მიწის დერბი (შალკე-დორტმუნდი) გერმანიაში. თუმცა, ჩელსი-სიტი ყველასგან გამორჩეული იქნება.

ინგლისი

08.12	ბორნმუთი-ლივერპული	5.5	4.33	1.57
08.12	კარდიფი-საუთჰემპტონი	2.8	3.2	2.62
08.12	ვესტ ჰემი-კრ.პალასი	2.2	3.3	3.4
08.12	მანჩესტერი-ფულემი	1.32	5.25	9.5
08.12	ბარნლი-ბრაიტონი	2.87	3.0	2.7
08.12	არსენალი-ჰადერსფილდი	1.25	5.8	12.0
08.12	ჩელსი-სიტი	3.9	3.7	1.91
08.12	ლესტერი-ტოტენჰემი	3.8	3.7	1.95
09.12	ნიუკასლი-ვულვზი	3.0	3.0	2.6
10.12	ევერტონი-უოტფორდი	1.75	3.7	4.8

ბორნმუთი-ლივერპული

ბორნმუთი: ***ტრავმ***-დან გოსლინგი, ადამ სმიტი

ლივერპული: ***ტრავმ***-დომენიკ სოლანკე

კარდიფი-საუთჰემპტონი

კარდიფი: ***ტრავმ***-ჯაზ რიჩარდსი, კენეტ ზოჰორე

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-მარიო ლემინა, შონ ლონგი

ვესტ ჰემი-კრ.პალასი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-აარონ გრესუელი, მარკო არნაუტოვიჩი, რაიან ფრედერიკსი, ანდრეი იარმოლენკო

კრ.პალასი: ***ტრავმ***-კრისტიან ბენტეკე

მანჩესტერი-ფულემი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ალექსის სანჩესი, ვიქტორ ლინდელოფი, ეშლი იანგი

ფულემი: ***ტრავმ***-ფლოიდ აიტე, კევინ მალდონალდი

ბარნლი-ბრაიტონი

ბარნლი: ***ტრავმ***-სტივენ ვარდი

ბრაიტონი: ***ტრავმ***-შონ დაფი, გლენ მიურეი

არსენალი-ჰადერსფილდი

არსენალი: ***ტრავმ***-გრანიტ ჯაკა, დანი უელბეკი, ნაჩო მონრეალი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ფილიპ ბილინგი, აბდელჰამიდ საბირი

ჩელსი-სიტი

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

სიტი: ***ტრავმ***-სერხიო აგუერო. ოლეკსანდრ ზინჩენკო, ბენჯამინ მენდი

ლესტერი-ტოტენჰემი

ლესტერი: ***ტრავმ***-ჯონი ევანსი, რაშიდ გეზალი, დანიელ ამარტეი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-იან ვერტოგენი, ვიქტორ ვანიამა, ერიკ ლამელა, დავიდსონ სანჩესი, მუსა დემბელე

ნიუკასლი-ვულვზი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ისააკ ჰაიდენი, მატ რიჩიე

ვულვზი: ***ტრავმ***-რუბენ ნევესი, ჯონი კასტრო ოტო

ევერტონი-უოტფორდი

ევერტონი: ***ტრავმ***-არავინ

უოტფორდი: ***ტრავმ***-ეტიენ კაპუ, ვილ ჰაგესი

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	15	13	2	0	45:7	41
2.ლივერპული	15	12	3	0	30:6	39
3.ტოტენჰემი	15	11	0	4	28:16	33
4.ჩელსი	15	9	4	2	31:13	31
5.არსენალი	15	9	4	2	34:20	31
6.ევერტონი	15	6	5	4	21:17	23
7.ბორნმუთი	15	7	2	6	25:22	23
8.მანჩესტერი	15	6	5	4	24:25	23
9.ლესტერი	15	6	4	5	21:18	22
10.ბრაიტონი	15	6	3	6	19:21	21
11.უოტფორდი	15	6	2	7	18:21	20
12.ვულვზი	15	5	4	6	15:18	19
13.ვესტ ჰემი	15	5	3	7	20:23	18
14.ნიუკასლი	15	3	4	8	12:20	13
15.კრ.პალასი	15	3	3	9	11:20	12
16.კარდიფი	15	3	2	10	14:30	11
17.ჰადერსფილდი	15	2	4	9	10:26	10
18.საუთჰემპტონი	15	1	6	8	13:29	9
19.ბარნლი	15	2	3	10	14:32	9
20.ფულემი	15	2	3	10	15:36	9

ესპანეთი

08.12	ატლეტიკო-ალავესი	1.38	4.33	11.0
08.12	ვალენსია-სევილია	2.2	3.5	3.2
08.12	ვილიარეალი-სელტა	1.78	3.75	4.5
08.12	ესპანიოლი-ბარსელონა	6.5	4.4	1.5
09.12	ეიბარი-ლევანტე	1.8	3.8	4.33
09.12	უესკა-რეალი	9.5	5.8	1.3
09.12	სოსიედადი-ვალიდოლიდი	1.6	3.8	6.0
09.12	ბეტისი-რაიო	1.53	4.4	5.8
10.12	ბილბაო-ხირონა	2.0	3.4	4.0

ატლეტიკო-ალავესი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ხუანფრანი, დიეგო გოდინი, ხოსე ხიმენესი

ალავესი: ***ტრავმ***-არავინ

ვალენსია-სევილია

ვალენსია: ***ტრავმ***-როდრიგო მორენო, დენის ჩერიშევი

სევილია: ***ტრავმ***-ხესუს ნავასი, მაქსიმ გონალოსი

ვილიარეალი-სელტა

ვილიარეალი: ***ტრავმ***-არავინ

სელტა: ***ტრავმ***-სტანისლავ ლობოტკა, მატიას იენსენი

ესპანიოლი-ბარსელონა

ესპანიოლი: ***ტრავმ***-სერხიო გარსია, მარკ როკა, ნალდო

ბარსელონა: ***ტრავმ***-ლუის სუარესი, სამუელ უმტიტი, რაფინია, სერხი რობერტო

ეიბარი-ლევანტე

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ

ლევანტე: ***ტრავმ***-პედრო ლოპესი

უესკა-რეალი

უესკა: ***ტრავმ***-რუბენ სემედო, გომსალო მელერო, ლუიზინიო

რეალი: ***ტრავმ***-ნაჩო, კაზემირო

სოსიედადი-ვალიდოლიდი

სოსიედადი: ***ტრავმ***-რაულ ნავასი, არიც ელუსტონდო, ლუკა სანგალი

ვალიდოლიდი: ***ტრავმ***-ხავი მოიანო

ბეტისი-რაიო

ბეტისი: ***ტრავმ***-სერხიო კანალესი

რაიო: ***ტრავმ***-ლუის ადვინკულა, ხავი გუერა, გაელ კაკუტა

ბილბაო-ხირონა

ბილბაო: ***ტრავმ***-მიკელ ბალენზიაგა, იური ბერჩიჩე

ხირონა: ***ტრავმ***-კარლეს პლანასი, ადაი ბენიტესი

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	14	8	4	2	37:19	28
2.სევილია	14	8	3	3	26:15	27
3.ატლეტიკო	14	6	7	1	18:10	25
4.ალავესი	14	7	3	4	18:14	24
5.რეალი	14	7	2	5	22:19	23
6.ლევანტე	14	6	3	5	23:21	21
7.ხირონა	14	5	6	3	17:16	21
8.ესპანიოლი	14	6	3	5	17:16	21
9.ხეტაფე	14	5	5	4	15:11	20
10.სოსიედადი	14	5	4	5	17:16	19
11.ბეტისი	14	5	4	5	14:17	19
12.ეიბარი	14	5	3	6	15:19	18
13.სელტა	14	4	5	5	25:22	17
14.ვალენსია	14	3	8	3	11:11	17
15.ვალიადოლიდი	14	4	5	5	11:14	17
16.ლეგანესი	14	4	4	6	14:18	16
17.ვილიარეალი	14	3	5	6	13:16	14
18.ბილბაო	14	1	8	5	14:23	11
19.რაიო	14	2	4	8	15:28	10
20.უესკა	14	1	4	9	12:29	7

გერმანია

08.12	ლევერკუზენი-აუგსბურგი	1.63	4.2	4.75
08.12	ფრაიბურგი-ლაიპციგი	4.0	3.8	1.83
08.12	ბაიერნი-ნიურნბერგი	1.06	11.0	34.0
08.12	ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი	3.0	3.6	2.25
08.12	შალკე-დორტმუნდი	3.4	3.5	2.1
08.12	ჰერტა-აინტრახტი	2.55	3.5	2.62
09.12	მაინცი-ჰანოვერი	1.88	3.6	4.0
09.12	გლადბახი-შტუტგარტი	1.47	4.33	6.5

ლევერკუზენი-აუგსბურგი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-არავინ

აუგსბურგი: ***ტრავმ***-იან მორავეკი

ფრაიბურგი-ლაიპციგი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლას ჰოფლერი, როლანდ სალაი, ლუკას კუბლერი

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ემილ ფორსბერგი

ბაიერნი-ნიურნბერგი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ხამეს როდრიგესი, კორენტინ ტოლისო

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-არავინ

ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-მარსელ ტისერანდი, იგნასიო კამაჩო

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ჰავარდ ნორდვეიტი

შალკე-დორტმუნდი

შალკე: ***ტრავმ***-ბრეელ ემბოლო, მარკ უტი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარიუს ვოლფი, მარსელ შმელცერი

ჰერტა-აინტრახტი

ჰერტა: ***ტრავმ***-ვლადიმირ დარიდა, კარიმ რეკიკი, ნიკლას სტარკი, ჯავაირო დირლოსუნი, ლუკას კლუნტერი

აინტრახტი: ***ტრავმ***-დავიდ აბრაჰამი, ალანი, ლუკას ტორო

მაინცი-ჰანოვერი

მაინცი: ***ტრავმ***-ფლორიან მიულერი, ბოტე ბაკუ

ჰანოვერი: ***ტრავმ***-იჰლას ბებოუ, პირმინ შვეგლერი, ფელიპე

გლადბახი-შტუტგარტი

გლადბახი: ***ტრავმ***-იონას ჰოფმანი, მატიას გინტერი, კრისტოფ კრამერი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ჰოლგერ ბადშტურბერი, ბერკაი ოზგანი, ბორნა სოსა, დანიელ დიდავი

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	13	10	3	0	37:13	33
2.გლადბახი	13	8	2	3	30:16	26
3.ლაიპციგი	13	7	4	2	24:10	25
4.ბაიერნი	13	7	3	3	25:18	24
5.აინტრახტი	13	7	2	4	30:16	23
6.ჰოფენჰაიმი	13	6	3	4	28:19	21
7.ჰერტა	13	5	5	3	21:20	20
8.ვოლფსბურგი	13	5	3	5	18:18	18
9.ვერდერი	13	5	3	5	21:22	18
10.მაინცი	13	5	3	5	12:14	18
11.შალკე	13	4	2	7	14:18	14
12.ლევერკუზენი	12	4	2	6	18:24	14
13.ფრაიბურგი	13	3	5	5	16:22	14
14.აუგსბურგი	13	3	4	6	20:22	13
15.ნიურნბერგი	13	2	5	6	14:30	11
16.შტუტგარტი	13	3	2	8	9:26	11
17.ჰანოვერი	13	2	3	8	15:28	9
18.ფორტუნა	13	2	3	8	13:29	9

იტალია

08.12	ნაპოლი-ფროზინონე	1.14	8.0	21.0
08.12	კალიარი-რომა	4.5	3.7	1.8
08.12	ლაციო-სამპდორია	1.38	4.75	8.5
09.12	სასუოლო-ფიორენტინა	2.8	3.2	2.62
09.12	ემპოლი-ბოლონია	1.95	3.5	3.9
09.12	პარმა-კიევო	2.1	3.25	3.8
09.12	უდინეზე-ატალანტა	4.2	3.6	1.88
09.12	ჯენოა-სპალი	1.95	3.3	4.2
09.12	მილანი-ტორინო	1.83	3.4	4.75

ნაპოლი-ფიოზინონე

ნაპოლი: ***ტრავმ***-რაულ ალბიოლი, სიმონე ვერდი, ვლად კირიკეში

ფროზინონე: ***ტრავმ***-ლორენცო კრისტიგი, ემილ ჰალფრედსონი, ლუკა მატარეზე, ხოაკინ არდაიზი

კალიარი-რომა

კალიარი: ***ტრავმ***-ხარალამპოს ლიკოგიანისი, ლუკას კასტრო

რომა: ***ტრავმ***-ანტე ჩორიჩი, ლორენცო პელეგრინი, ედინ ჯეკო, შტეფან ელ შაარავი

ლაციო-სამპდორია

ლაციო: ***ტრავმ***-ადამ მარისიჩი, ლუკას ლეივა

სამპდორია: ***ტრავმ***-ედგარ ბარეტო

სასუოლო-ფიორენტინა

სასუოლო: ***ტრავმ***-კევინ-პრინს ბოატენგი, კლოდ აჯაპონგი, ჯერემი ბოგა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-რიკარდო სოტილი

ემპოლი-ბოლონია

ემპოლი: ***ტრავმ***-არავინ

ბოლონია: ***ტრავმ***-ბლერიმ ჯემაილი

პარმა-კიევო

პარმა: ***ტრავმ***-მასიმო გობი, ანტონიო დი გაუდიო, ფრანსისკო სიერალტა, ფედერიკო დიმარკო

კიევო: ***ტრავმ***-პაველ იაროჟინსკი, მანუელ პუჩიარელი, ნენად ტომოვიჩი

უდინეზე-ატალანტა

უდინეზე: ***ტრავმ***-სამირი, ანდრია ბალიჩი, მოლა ვოგი, ანტონინ ბარაკი, ლუკაშ ტეოდორჩუკი

ატალანტა: ***ტრავმ***-იოსიპ ილიჩიჩი, მუსა ბაროუ

ჯენოა-სპალი

ჯენოა: ***ტრავმ***-ნიკოლას სპოლი, ერვინ ზუკანოვიჩი, ნიკოლა დალ მონტე

სპალი: ***ტრავმ***-ლორენცო შიმიჩი, გაბრიელ მონჩინი

მილანი-ტორინო

მილანი: ***ტრავმ***-ალესიო რომანიოლი, გონსალო იგუაინი, მატეო მუკაჩიო, ლუკას ბილია, ჯაკომო ბონავენტურა

ტორინო: ***ტრავმ***-არავინ

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	14	13	1	0	31:8	40
2.ნაპოლი	14	10	2	2	27:14	32
3.ინტერი	14	9	2	3	27:12	29
4.მილანი	14	7	4	3	24:18	25
5.ლაციო	14	7	3	4	20:16	24
6.ტორინო	14	5	6	3	19:16	21
7.რომა	14	5	5	4	24:18	20
8.სასუოლო	14	5	5	4	21:19	20
9.პარმა	14	6	2	6	15:18	20
10.სამპდორია	14	5	4	5	21:17	19
11.ატალანტა	14	5	3	6	26:19	18
12.ფიორენტინა	14	4	6	4	18:13	18
13.კალიარი	14	3	7	4	13:17	16
14.ჯენოა	14	4	3	7	19:29	15
15.სპალი	14	4	2	8	13:23	14
16.უდინეზე	14	3	4	7	12:18	13
17.ემპოლი	14	3	4	7	17:25	13
18.ბოლონია	14	2	5	7	12:22	11
19.ფროზინონე	14	1	5	8	11:29	8
20.კიევო	14	0	5	9	11:31	2

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ნატალია ოთხმეზური სწავლასა და საკალათბურთო კარიერას ამერიკაში გააგრძელებს

18 წლის ნატალია ოთხმეზური პირველი გოგონაა, რომელიც ოკეანისგაღმა ითამაშებს კალათბურთს. მსგავსი ფაქტი აქამდე ქართული კალათბურთის ისტორიაში არ ყოფილა. ნატალიამ სრული სტიპენდია მოიპოვა და თამაშს აშშ-ში, ვაიომინგის შტატში განაგრძობს.

ნატალია ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიაში ერთი თვის წინ მივიდა. ნიჭიერი კალათბურთელი აკადემიაში მაშინვე შეამჩნიეს და დაიწყო მოლაპარაკებები სხვადასხვა კოლეჯთან. საბოლოოდ შეირჩა კასპერის კოლეჯი, რომელიც ძლიერი ქალთა კალათბურთის პროგრამით გამოირჩევა.

ახალ კოლეჯში სწავლას ნატალია აგვისტოდან დაიწყებს.

ნატალია ოთხმეზური:

– ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემს ცხოვრებაში პირველად ხდება მსგავსი ფაქტი. ვეცდები, მაქსიმუმი გავაკეთო და ვასახელო ჩემი ოჯახი და საქართველო. მადლობას ვუხდი ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიას გვერდში დგომისთვის.

გიორგი ალავიძე, ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიის დირექტორი:

– ჩვენი აკადემია ყოველთვის მზად არის, ახალგაზრდა, ნიჭიერ კალათბურთელებს თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებაში ხელი შუწყოს.



ლაშა ფარღალავა, *ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიის სპორტული დირექტორი:*

– აკადემიაში მოსვლის დღიდან ნატალიას ნიჭი უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია. მის განვითარებაზე პასუხისმგებლობა ავიღეთ და შევუქმენით ყველანაირი პირობა, რომ სრულყოფილად ივარჯიშოს.

ოთხმეზური ზაზა ფაჩულიას აკადემიაში ჩეხეთის უმაღლესი ლიგის კლუბ ჰრადეც კრალოვედან მივიდა, სადაც ერთი წელი გაატარა, მანამდე კი დიდი გამოცდილება მიიღო როგორც საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში, ასევე გოგონათა ეროვნულ ჩემპიონატებში. ოთხმეზურმა 2016 წელს ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონში ჩვენი ქვეყნის ღირსება 16 და 18-წლამდელთა ნაკრებებში დაიცვა და გუნდის გამორჩეული ლიდერი იყო. ეს იყო 16 წლის ასაკში.

ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატის ც დივიზიონში ოთხმეზურის ლიდერობით საქართველოს ნაკრები ჩემპიონი გახდა, ხოლო ნატალია ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელეს. ამავე წელს ოთხმეზურმა საქართველოს ღირსება დაიცვა 18-წლამდელთა ც დივიზიონში, რომლის მვპ გახდა, ხოლო საბოლოოდ ნაკრები ვერცხლის მედლებს დასჯერდა.

შემდეგ კი ნატალიამ საქართველოს ნაკრებს ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის ბ დივიზიონში ულიდერა და ტურნირის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ოთხმეზური სისტემატიურად თამაშობდა საქართველოს 16, 19 და ქალთა ეროვნულ ჩემპიონატებში.

პირველად ნატალია ოთხმეზური საკალათბურთო კლუბ ბასტიონში გამოჩნდა, საიდანაც საქართველოს ნაკრებში მიიწვიეს. იგი გახლავთ ქალთა ლიგის 2-გზის ჩემპიონი და ყველა იმ ასაკობრივი ჩემპიონატის გამარჯვებული, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო.

პერსპექტიულმა ქართველმა გოგონამ უცხოელი სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო და ყველაფერი ოთხმეზურის ჩეხურ გუნდში გადასვლით დასრულდა, სადაც მხოლოდ ერთი წელი დაყო და ახლა ამერიკაში მიემგზავრება.

დუბაის ემირის ქალიშვილი შვიდი წელი ემზადებოდა სასახლიდან გასაქცევად

ცნობილი გახდა დუბაის ემირის ქალიშვილის წარუმატებელი გაქცევის გარემოებები. მასზე საუბარია „ბი-ბი-სის“ მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში „გაცევა დუბაიდან“.

32 წლის შეიხა ლატიფა ბინტ მოჰამედ ალ მაკტუმი არაბთა გაერთიანებული საემიროების პრემიერ-მინისტრისა და ვიცე-პრეზიდენტის მოჰამედ იბნ რაშიდ ალ მაკტუმის ქალიშვილია. 16 წლის ის უკვე ცდილობდა ქვეყნიდან გაქცევას, მაგრამ საზღვარზე დაიკავეს. გოგონამ სამი წელი გაატარა პატიმრობაში, სადაც მას სცემდნენ და აწამებდნენ.

2000 წელს მისი უფროსი და დიდ ბრიტანეთში გაიქცა. ერთი თვის შემდეგ შეიხის ხალხმა ის კემბრიჯში შეიპყრო და მალულად გადაიყვანა საემიროში. მას შემდეგ ის იმყოფებოდა სამედიცინო ციხეში, სადაც ის მედდების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ლატიფას მისი ბედის გაზიარება არ სურდა და ამიტომ მეტად ფრთხილად ემზადებოდა ახალი გაქცევისთვის.

2011 წელს მან ინტერნეტში წაიკითხა საფრანგეთის დაზვერვის ყოფილი აგენტის ერვე ჟობერის შესახებ. ის ემირატების ხელისუფლებასთან კონფლიქტის შემდეგ იძულებული გახდა ქვეყნიდან გაქცეულიყო. ჟობერმა სასტუმრო ქალის სამოსში გადაცმულმა



დატოვა, რომელიც მყვინთავის კოსტუმზე ჰქონდა მოცმული, მწყობრიდან გამოიყვანა პოლიციის ერთადერთი ძრავიანი ნავი, გასაბერი ნავით კი მეგობრის იახტამდე მიაღწია, რომელიც მას საერთაშორისო წყლებში უცდიდა. იახტით მან არაბეთის ზღვა გადაცურა და მუმბაიმდე მიაღწია.

ლატიფა ჟობერს დაუკავშირდა და რჩევა სთხოვა. მან თავიდან ვერ დაიჯერა, რომ საქმე ნამდვილ პრინცესასთან ჰქონდა, თუმცა შემდეგ დათანხმდა და ისინი ინტერნეტით რეგულარულად ურთიერთობდნენ და გაქცევის მომზადების გეგმას ათანხმებდნენ.

2014 წელს გოგონამ კაპოეირის მასწავლებელი ფინელი ტიინო იაუჰიაინენი გაიცნო, რომელიც მისი მწვრთნელი და ახლო მეგობარი გახდა. ის ლატიფას გაქცევის მომზადებაში ეხმარებოდა.

მიმდინარე წლის მარტში პრინცესა დილით ადრე ადგა, იაუჰიაინენთან ერთად ისადილა, შემდეგ ტანსაცმელი გამოიცვალა და შავი ფერის სათვალეები გაიკეთა. ორივე მანქანაში ჩაჯდა და მეზობელ ომანში ჩავიდნენ. იქ ისინი გასაბერ ნავსა და ჰიდროციკლზე გადასხდნენ და 40 კილომეტრის გავლის შემდეგ ავიდნენ იახტაზე, რომელშიც მათ ჟობერი უცდიდა.

იახტა რამდენიმე დღე აშშ-ის დროშის ქვეშ მიცურავდა ინდოეთის გოას შტატისკენ. მთელი ამ ხნის მანძილზე ლატიფა ცდილობდა ჟურნალისტებს, უფლების დამცველებს და ნათესავებს დაკავშირებოდა, რომელთაც მისი დახმარება შეეძლოთ, თუმცა, უშედეგოდ.

როდესაც ინდოეთის სანაპირომდე 50 კილომეტრი იყო დარჩენილი, იახტაზე შეიარაღებული ხალხი ავიდა და ლატიფა წაიყვანეს. თუ რა მოხდა შემდეგ, უცნობია.

– ის ამბობდა, რომ იახტაზე სიკვდილი ერჩივნა დუბაიში დაბრუნებას, – განაცხადა ჟობერმა, – ჩემთვის სრულიად უცნობია თუ სად იმყოფება ლატიფა.

ცხენის წიხლმა ჟოკეი კიბოსგან გადაარჩინა

ცხენი დაეხმარა პროფესიონალ ირლანდიელ ჟოკეის კიბოს აღმოჩენაში. ავსტრალიაში მუშაობის დროს 21 წლის რაიან ო,კონორს ცხენმა კარლაკი მისმა წიხლი უთავაზა. ამ დარტყმის შემდეგ მას წელის არეში ტკივილები დაეწყო და დახმარებისთვის ექიმს მიმართა. გასინჯვის შემდეგ მას საკვერცხის კიბო აღმოუჩინეს.

– მაშინ თავს ჯანმრთელად ვგრძნობდი და კარგ ფორმაშიც ვიყავი, თუმცა თავი ნორმალურად არასოდეს მიგრძნია, – იხსენებს ო,კონორი, – ამ დროს აღმოჩნდა, რომ ცხრასანტიმეტრიანი სიმსივნე მქონდა.

რომ არა ცხენის მიერ მიყენებული ტრავმა, ჟოკეის შესაძლოა ვერც კი შეემჩნია ავთვისებიანი სიმსივნე და დაავადება სახიფათოდ განვითარებულიყო.

– ამ სახეობის კიბო გავრცელების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე აგრესიულია და უკეთესიცაა, რომ ცხენმა წიხლი ჩამცხო, – აცხადებს ირლანდიელი.

ო,კონორს ოპერაცია გაუკეთეს, სიმსივნე ამოკვეთეს, ხოლო რადიოთერაპიის შემდეგ ის სრულიად ჯანმრთელად ცნეს, თუმცა მას მაინც მოუწევს რეგულარულად შემოწმების გავლა, რათა სიმსივნის გამეორება არ გამორჩეს.

ქუჩაში მოსეირნე ალიგატორმა ადამიანი ტყვედ აიყვანა

ბრაზილიაში ალიგატორი ქუჩაში გამოვიდა და ერთ-ერთ მცხოვრებს ხელში პირი სტაცა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო\ ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი ბაიას შტატის სენტრალის მინიციპალიტეტში მოხდა. ერნანდეს მაჩადუ რეპტილიის დაჭერას შეეცადა, მაგრამ ამის საპასუხოდ ცხოველი მას თავს დაესხა და ხელზე უკბინა. მამაკაცი ძირს დაეცა და უშედეგოდ ცდილობდა ალიგატორის კბილებისგან თავის დაღწევას.

ერნანდეს გამვლელები მიეხმარნენ. ერთ-ერთმა ალიგატორს ხახაში ჯოხი ჩასჩარა და შეეცადა მისთვის ყბები გაეხსნევინებინა. მამაკაცი, რომელიც ვიდეოს იღებდა, მას მიეხმარა, ჯოხი გამოართვა, სანამ ის რეპტილიას პირს უკრავდა.

– ახლა უკვე უსაფრთხოდ ხარ, – უთხრა მაჩადუს მშველელმა, თუმცა მას გარკვეული დროის განმავლობაში ხელი არ გამოუღია, რათა ალიგატორის პროვოცირება არ მოეხდინა.

ბრაზილიელი მცირე ჭრილობებით გადარჩა. ალიგატორი უახლოეს გუბურასთან გადაიყვანეს და გაუშვეს. ადგილობრივების თქმით, ეს ცხოველის ქუჩებში გამოჩენის პირველი შემთხვევა არ ყოფილა.

თხამ პატრონს 20 ათასი ევრო შეუჭამა

სერბეთის დედაქალაქ ბელგრადიდან 80 კილომეტრში მდებარე სოფელ რანილოვიჩში თხამ პატრონს 20 ათასი ევრო შეუჭამა.

მილენა სემიჩმა და მისმა მეუღლემ ფული ათი ჰექტარი მიწის შესაძენად გაამზადეს. თხა სახელად ბელკა, რომელიც რამდენიმე წელია მათთან ცხოვრობს, სახლში დაუკეტავად დარჩენილი კარიდან შევიდა, მაგიდაზე დაწყობილი კუპიურები ნახა და მათ ჭამას შეუდგა.

– როდესაც ხმაურის და შრიალის ხმა გავიგონეთ, ქმარი იმის სანახავად შევიდა, და კინაღამ ინფარქტმა დაარტყა იმის გამო, რაც მან დაინახა. ბელკამ მთელი ფული, რაც მაგიდაზე ელაგა, შეჭამა, მხოლოდ 300 ევრომდე გადარჩა, დანარჩენი დაღეჭილი ან შეჭმულია, – განაცხადა ქალმა.

მისი თქმით, მას შემდეგ მისი მეუღლე ხმის ამოუღებლად ზის და ერთ წერტილს მისჩერებია. ხოლო თხა, რომელმაც ოჯახი უფულოდ დატოვა, დაკლეს და საჭმელი მოამზადეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 დეკემბრისათვის

ვერძი – შეცდომის დაშვებას ფინანსური დანაკარგები მოჰყვება. ყურად იღეთ გონიერი ადამიანის რჩევები. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა ახალი ნაცნობობისათვის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ დიდ სითბოსა და ყურადღებას ამჟღავნებენ. **ტყუპები** – პროფესიულ სფეროში მცირე პრობლემები ჩნდება. ირწმუნეთ საკუთარი თავის და თამამად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – ფინანსურ სფეროსა და ახლო გარემოცვაში ცვლილებები შეინიშნება. მოვლენები ადეკვატურად შეაფასეთ. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი ძალზე მაღალია. შესაძლოა, თქვენი დაუდევრობის გამო სამსახურში ხელმძღვანელობის შენიშვნა დაიმსახუროთ. **ქალწული** – გელით სასიამოვნო სიურპრიზი. ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობა დადებითად წაგადგებათ. **სასწორი** – ძალებს ფუჭად ნუ დახარჯავთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელიც სიამოვნებას მოგგვრით. **ღრიანკალი** – დაეხმარეთ ხანდაზმულ ნათესავებს. ნუ იქნებით სულსწრაფი და აგრესიული. **მშვილდოსანი** – შესაფერისი დღეა სამოგზაუროდ, სტუმრების მისაღებად. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. **თხის რქა** – გუნება-განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ. სასიამოვნო სიურპრიზების დღეა. **მერწყული** – კეთილისმყოფელი პერიოდია ძველი, დავიწყებული კავშირების აღსადგენად. იყავით რბილი და მიმტევებელი. **თევზები** – ზომიერება და თავშეკავება დღის დევიზია. ოჯახის წევრებთან დაძაბულ ურთიერთობას მხოლოდ სიმშვიდით განმუხტავთ.

9 დეკემბრისათვის

ვერძი – დღე რთული იქნება. მოსალოდნელია კონფლიქტი საქმიან პარტნიორებთან. ემოციები შეიკავეთ. **კურო** – მომძლავრებული ენერგია დიადი საქმეებისკენ გიბიძგებთ. წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში. **ტყუპები** – გაისეირნეთ, ურთიერთობა დაამყარეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან. შეესაძლოა, ვიღაც გავლენიან პირს თქვენი მფარველობის სურვილი გაუჩნდეს. **კირჩხიბი** – ეცადეთ, გარშემომყოფებს კომფორტი შეუქმნათ. იყავით დამთმობი და ლოიალური. **ლომი** – ფსიქოლოგიურ დაძაბულობას გრძნობთ. ერიდეთ საკუთარი აზრის კატეგორიულად გამოხატვას. **ქალწული** – პასიური დღეა. განმარტოება და საკუთარ თავში ჩაღრმავება გჭირდებათ. ნურაფერს დაგეგმავთ. **სასწორი** – იფრთხილეთ. ნერვებს ნუ აჰყვებით. ნებისმიერი გადაწყვეტილება საღი განსჯისა და ანალიზის შემდეგ მიიღეთ. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი პერიოდია ინტიმური შეხვედრებისა და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობისათვის. **მშვილდოსანი** – გაერთეთ, დაისვენეთ, გადით ქალაქგარეთ. შეგიძლიათ, განწყობა ბაღში მუშაობითაც გამოიკეთოთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – შემოქმედებითი ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის შესაფერისი დღეა. სასიკეთოდ წაგადგებათ ასევე ფიზიკური დატვირთვა, ვარჯიში. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. ფულის გონივრულად დაბანდება კარგ მოგებას მოგიტანთ. **თევზები** – ზებუნებრივი ძალები გმფარველობენ. შემოსავალი საგრძნობლად გეზრდებათ. საქმიანი გარიგებებით კმაყოფილი დარჩებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 2. წინასწარმეტყველი რომსა და ძველ საბერძნეთში; 3. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 4. პირადი, წვრილმანი ინტერესებით მცხოვრები ადამიანი; 5. შუადღის საუზმე აშშ-ში; 6. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 8. განსაკუთრებული წესით დამზადებული ცხვრის ყველი; 11. გერმანული საგმირო ეპოსი; 14. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 15. ისტორიული ციხესიმაგრე ალგეთის ხეობაში; 16. მუსიკალური ბგერის ამაღლება ან დადაბლება; 17. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. პატარა სასადილო იტალიაში; 21. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 22. ჯარების მართვის ორგანო.

თარაზულად: 1. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. მზის სადიდებელი სვანური სიმღერა; 7. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 9. ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. ქალაქი სამეგრელოში; 12. მჟავების ჭარბი შემცველობა სისხლსა და ორგანიზმის ქსოვილებში; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 16. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 17. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი; 18. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 20. პატარა ქირურგიული დანა; 22. დამარილებული ღორის ქონი; 23. დოკუმენტების სარეგისტრაციო დავთარი; 24. ოთხფეხა შინაური ცხოველი; 25. საბრძოლო მანქანა.

შვეულად: თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დუაიენი; 2. პერუ; 3. სუეცი; 4. ორბიტა; 6. მუკუზანი; 9. ნადური; 13. ტრამალი; 14. „ბარამბო“; 15. საკურა; 17. „მედეა“; 18. ამური; 20. თული;

თარაზულად: 1. დუპლეტი; 5. პოემა; 7. გულჩორა; 8. „აირზენა“; 10. რისკი; 11. ცაიში; 12. ნადუღი; 16. ბაჩანა; 17. მუყაო; 19. ალჩუ; 21. პურადი; 22. თექურა; 23. მარიცა; 24. დოკერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. იზაბელა; 3. სპარინგი; 4. ოსვენციმი; 5. თოლია; 6. არდანი; 8. შირაზი; 11. კელნერი; 14. მეტრანპაჟი; 15. სათაფლია; 16. ბიჟუტერია; 17. ჩითილი; 19. ხავერდი; 21. სამბო; 22. ზვარე.

თარაზულად: 1. ბიოსფერო; 5. თორა; 7. ბეშუმი; 9. ბარათაშვილი; 10. დეკორტი; 12. ანალიზი; 13. ტრიუმფი; 16. ბარიბალი; 17. ჩირი; 18. ცხუმი; 20. გრავიურა; 22. ზალპი; 23. ბესელია; 24. რულადა; 25. ბარჟა.

ელისო ვირსალაძე: „თუ გინდათ, დიდხანს იცოცხლოთ, უსმინეთ მოცარტს!“

ცნობილმა ქართველმა პიანისტმა ელისო ვირსალაძემ ერთ-ერთ რუსულ გამოცემას ინტერვიუ მისცა და განაცხადა, რომ კლასიკური მუსიკა სულის მკურნალია, თუმცა კომპოზიტორების ნაწარმოებებს შორის გამორჩეულია მოცარტის მუსიკა:

– მოცარტის შემოქმედება სასწაულია. მის მუსიკაში ბევრი ტრაგიზმია. თუმცა, როცა უსმენთ კომპოზიტორის ნაწარმოებებს „ფიგაროს ქორწინება“ ან „ასე იქცევა ყველა ქალი“, ისინი აბსოლუტურად სხვა გრძნობებსა და ემოციებს იწვევენ. თუ გინდათ, დიდხანს იცოცხლოთ, უსმინეთ მოცარტს!

„რუსთავის“ თურქეთში დაგეგმილ კონცერტზე ყველა ბილეთი გაყიდულია

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“ წელს დაარსებიდან 50 წლის იუბილეს აღნიშნავს. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ანსამბლმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საიუბილეო კონცერტები ჩაატარა. ამჟამად „რუსთავი“ თურქეთში ჩაატარებს კონცერტს, რომელიც 10 დეკემბერს გაიმართება. იუბილარი ანსამბლი პირველად წარდგება იზმირელი მაყურებლის წინაშე. კონცერტზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია.

ოთარ ჭილაძეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსენებენ



კლასიკოს მწერალ ოთარ ჭილაძეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსენებენ.

8 დეკემბერს ოთარ ჭილაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო არასამთავრობო ორგანიზაცია „აველუში“ მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილ საჯარო ლექციას გამართავს სახელწოდებით – „ოთარ ჭილაძე – ქართველთა „ბიბლიური ნოე“. ლექციას გაუძღვება ფილოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ქალბატონი ადა ნემსაძე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დაგეგმილ ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

აკაკი შანიძის მუზეუმი გაპარტახებულია

ენათმეცნიერ აკაკი შანიძის მუზეუმი გაპარტახებულია.

ინფორმაცია ამის შესახებ ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა გაავრცელა:

– სამტრედიის სოფელ ნოღაში, რომელიც გურიის მიმართულებით მდებარეობს, ენათმეცნიერ აკაკი შანიძის მუზეუმია.

ოღონდ მუზეუმი სიტყვით ჰქვია. დანგრეული და გაპარტახებულია იქაურობა.

ამაზე 2 წლის წინათ დავწერე. ფოტოები რომ შევადარე, აღმოვაჩინე, რომ მუზეუმი კიდევ უფრო გაუბედურებულა.

1 პატარა ქოხია. რა უნდა ამის გაკეთებას?

აკაკი შანიძემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქართული, მშობლიური ენა ძლიერად ყოფილიყო. ამიტომ არის დასაფასებელი.

ვინმე აფასებს?

თუმცა, რა მიკვირს?

საკუთარ ენას არ ვუფრთხილდებით და ენათმეცნიერს დავაფასებთ?

ნიკა რურუა იყო პრინციპული, პროგრესულად მოაზროვნე და მაღალი რანგის პროფესიონალი!

– ბოლო-ბოლო, არ არის საინტერესო, ვინ ვარ მე. ჩემდამი ეს ცნობისმოყვარეობა მაინც არასწორი მითოლოგიით არის განპირობებული. ჩემი მინისტრობა და ეს ყველაფერი მეათეხარისხოვანია. უფრო საინტერესოა ისეთი რაღაცეები, რაც ახალგაზრდებს შთააგონებს. ის, რასაც შენ დაწერ, თან გულწრფელი უნდა იყოს, თან ვიღაც უნდა გააძლიეროს. მე შემიძლია, ვიყო ინსპირაციული. ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ ამას. მე შემიძლია ადამიანების მოტივირება, იმიტომ, რომ მე თვითონ ვარ მოტივირებული. ინსპირაცია გადამდებია, ჩემზეც ასე მოქმედებს სხვისი. მჯერა სიკარგის, მჯერა, რომ ის არსებობს. ამაში ამერიკა დამეხმარა, თუმცა ბავშვობიდან იდეალისტი ვიყავი. სიკეთის იმიტომ კი არ მჯერა, რომ სიკეთეა და კარგია და ასწორებს. აი, რაც კარგია და ასწორებს და მომწონს, მჯერა, რომ ის ასევე ძლიერია და აქვს აზრი, რომ მას იცავდე და მისთვის იბრძოდე. სიკეთე არ არის კონტროლის იარაღი, სიკეთე არსებობს როგორც ჰიპოსტაზი, როგორც თავისთავადი მოცემულობა ადამიანში. ადამიანში ნაბიჭვრობაც არის, ცხოველური, ველური, მტაცებლური რაღაცები. თუ იდეალიზმისგან დაიცლები, ცუდი ცხოველი ხდები, ყველაზე საშიში მტაცებლებში და ყველაზე საცოდავი. მაგრამ თუ სიკეთეს არ ჩაკლავ, სულ გაქვს შანსი, რომ ეს კარგი გაზარდო და უკეთესი გახდე. მეც რომ ვუყურებ, ბევრი სისულელე მაქვს ცხოვრებაში გაკეთებული, ჩემი თავისთვის ბევრჯერ ნაღალატები, მაგრამ სწორედ ამიტომ მჯერა მონანიების. ძალიან ადვილი იყო, რაღაც მომენტში დამეჯერებინა, რომ აი, ეგა ვარ, რაცა ვარ. და ისეთივე გამოუსადეგარი ვყოფილიყავი ჩემი თავისთვის და ქვეყნისთვის, როგორც ვიყავი. რეზო გაბრიაძემ მითხრა, ჩემთვის იქამდე სრულიად უცნობმა კაცმა, დიდი ხანი ვილაპარაკეთ, იცი რაო, მთავარია, ადამიანს და ადამიანობას ემსახუროო. იგივე მითხრა, რასაც ელინგტონი ამბობს ზავინულის დისკზე „მაი ფიფლ“. და ეს არ ნიშნავს, რომ ერთხელ გეძლევა ამის შანსი. არა, ამის უფლება და შანსი გაქვს ყოველთვის მილიონნაირი დაცემის და შეცდომის მერეც, – ამბობდა კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა, რომელიც 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს. უკანასკნელ გზაზე ნიკა რურუა მეგობრებმა, მისმა გულშემატკივრებმა და რიგითმა ადამიანებმა გააცილეს.

ლაშა ჩხარტიშვილი, *თეატრმცოდნე:*

– იმდენმა თქვა ნიკა რურუაზე, მერიდება, ჩემი ამბავი მოვყვე, მაგრამ მადლიერების გამოუხატველობაც მაწუხებს. სანამ გავიცნობდი, მეშინოდა, მინისტრი, რომ იყო, ამბობდნენ: მასთან ჩიტიც ვერ შეფრინდებაო. პროექტი დავწერე სამინისტროსთვის, კიშინიოვის თეატრალური ფორუმში მონაწილეობის მისაღებად გზის დაფინანსებას ვითხოვდი, 2 დღეში დამირეკეს და მითხრეს, დაფინანსება მოიპოვეთ და მობრძანდითო, მერე ხელშეკრულება, რომ გავაფორმეთ, იურიდიულ დეპარტამენტში მითხრეს, მინისტრი გელოდებათ და შებრძანდითო. მთხოვა, მოხსენება. მეორე დღეს მომწერა მნიშვნელოვანი რჩევები. მაშინ მივხვდი, რომ თანამედროვე ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესებში იყო ღრმად ჩახედული, არადა, ამბობდნენ, თეატრი არ უყვარსო. სინამდვილეში კი მუზეუმადქცეული თეატრი არ უყვარდა, თორემ სწორედ მისი მინისტრობის დროს მოქმედებდა ორი მიზნობრივი პროგრამა: ქართული თეატრი საზღვარგარეთ და რეგიონის თეატრების მხარდაჭერის პროგრამა. სხვათაშორის, მან ასწავლა ბევრ თეატრს პროექტის წერა და დამატებითი ფინანსური რესურსების მოპოვებაც... სამწუხაროდ, მის მინისტრობასთან ერთად დასრულდა ეს პროგრამები. ყველას მისი ნიკა რურუა ახსოვს, მე ჩემი, რომელიც იყო პრინციპული, პროგრესულად მოაზროვნე და მაღალი რანგის პროფესიონალი! ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ და თანავუგრძნობ ოჯახს და მის ახლო მეგობრებს.

ნენე კვინიკაძე, *მწერალი:*

– დიდი მადლობა ნიკას მეგობრობისთვის, გულშემატკივრობისთვის, ფრანკფურტის სცენებისთვის, თბილისი აუთისთვის, გადაჭარბებული შეფასებებისთვის, გამხელილი საიდუმლოებისთვის და ძალების შემატებისთვის. ჩვენი საზოგადოება ასეთია: უფრო ლამაზი რომ გახდები, იტყვიან მაგას ცხვირის ოპერაცია აქვს გაკეთებულიო. საერთაშორისო წარმატებას თუ მიაღწევ ვიღაცები იტყვიან, ეგ სკოლაში ბანძი იყოო. მნიშვნელოვანი აღმოჩენისთვის დაწინაურდები და იჩურჩულებენ, მამამისი ძალიან ცუდი კაცი იყოო. სახელს გადაირქმევ, მაინც ძველს დაგიძახებენ. არავინ შეგაქებს უკეთესი თუ გახდები, მით უფრო, შენ ცხოვრებას თავიდან თუ ააშენებ. ალბათ იმიტომ, რომ უმრავლესობას ურჩევნია წინ ვერ წახვიდე, მაღლა ვერ ახვიდე და არამცთუ გგულშემატკივრობს, ყოველ ჯერზე ხელზე ფეხს გაჭერს, რომ ისევ იქ ჩავარდე. ესაა ჩვენი ამბავი.

დათო ევგენიძე, *კომპოზიტორი, პოეტი:*

– ადგა და გარდაიცვალა, უფლისთვის ფერი იცვალა... არც არავინ არ აწვალა და არც თვითონ არ ინწვალა... ის დაგვიტოვა, რაც თვითონ ჩუმად ამ ცისგან ისწავლა...

ნინო სურგულაძე, *ოპერის მომღერალი:*

– უკანასკნელ გზაზე გავაცილე ჩემი მეგობარი. ნიკას სახით საქართველომ დაკარგა ქვეყნის დიდი გულშემატკივარი და თავდადებული პატრიოტი, უსაზღვროდ განათლებული ადამიანი. ყოველთვის მქონდა შეგრძნება, რომ მუდამ ეჩქარებოდა, რათა მაქსიმალურად ბევრი მოესწრო... თითქოს გრძნობდა, რომ არ ჰქონდა დიდი დრო დარჩენილი... მისი წასვლით გამოწვეული სიცარიელე, მგონია, დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტად იქნება საგრძნობი ყველასთვის. ნიკა ბუნებით მებრძოლი იყო და ასეთად დარჩება ჩემს მეხსიერებაში. გემშვიდობები, მეგობარო, დროებით, ნიკა!

ქეთი მაჭავარიანი, *რეჟისორი:*

– ნიკა, მადლობა ბოლო სიტყვებისათვის: ქეთო, ყველაფერი კარგად იქნება!. გემშვიდობები რწმენით, რომ ჩვენი სამშობლო უკეთესი იქნება, როცა ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

ლაშა შევარდნაძე, *ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილი:*

– მახსოვს, რამდენიმე წლის წინ, როდესაც ნიკა კულტურის მინისტრის რანგში ქართული კინოს დღეებზე პარიზში ჩამოვიდა. მე მაშინ ვუთხარი, ოთარ იოსელიანის რამდენიმე ფილმში მაქვს ნათამაშები-მეთქი. „სხვათა შორის, მეც და თან ორი წლის ასაკში“, მიპასუხა მან და თან თვალი ჩამიკრა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის გამორჩეული კულტურის მინისტრი იყო, საოცრად განათლებული და გამორჩეული ნებისყოფის ადამიანი. მიუხედავად რაღაც საკითხებზე განსხვავებული შეხედულებებისა, მას ძალიან დიდ პატივს ვცემდი.

კოტე ყუბანეიშვილი, *პოეტი:*

– ნიკაზე 16 წლით დიდი ვარ, ესე იგი მე ვიყავი 32 წლის, როცა 16 წლის ნიკა მოვიდა ჩემთან. ხელში სელინჯერის წიგნი ეჭირა. ძალიან სიმპათიური და საყვარელი ბავშვი იყო. თეატრალურზე აპირებდა ჩაბარებას. სწავლობდა მუსიკას, მერე დიპლომირებული მუსიკის პედაგოგიც კი გახდა. ამის მერე ხშირად ვხვდებოდით, ვსაუბრობდით ხელოვნებაზე, ნიკას მამა, მხატვარი ვახო რურუა, ჩემი მეგობარი იყო, წიგნებზე, ქუჩაზე და რა ვიცი, ბევრ რამე სხვაზეც ალბათ. მერე აირია გარშემო ყველა და ყველაფერი. მერე კიდევ, ერთხელაც კარზე კაკუნი მომესმა, გავაღე კარი და ისევ ნიკა ისევ წიგნებით და ისევ ახლი ინტერესებით და იდეებით, როგორც სჩვევია, ოღონდ უკვე ამერიკული განათლებით და ხარისხით. ამით მე რისი თქმა მინდა, რომ ნიკა რურუა ყოველთვის სინათლისკენ მიდიოდა, სინათლისკენ რასაც განათლებას ვეძახით და თუ რაღაც დროს სხვანაირად მოუხდა ცხოვრება ეს იმიტომ რომ, რაღაც დროს ყველას სხვანაირად მოგვიხდა ცხოვრება, მთელ ქვეყანას მოუხდა და ტალახი რომელიც ყველას ერთად მოგვეცხო დროს ჯერაც ბევრისთვის არ ჩამოურეცხია.

მოკლედ, ნიკა რურუა იყო ნიკა რურუა, ყოველთვის ისეთი, როგორიც იყო და მე რომ მკითხო, აბსოლუტურად არ შეცვლილა ჩემთვის იმ პირველი გაცნობის შემდეგ. თავისი ნატვრაც აისრულა, გაიზარდა და ჩამოყალიბდა სერიოზულ განმანათლებლად და პოლიტიკოსად. და, რაც მთავარია, ჩვენი ურთიერთობაც ისევ წიგნებზე ლაპარაკით იწყებოდა და თავდებოდა, სხვათა შორის, ბევრი წიგნი მაჩუქა, ზუსტად იცოდა, რითი შეიძლებოდა ჩემი გახარება. კიდევ აუცილებლად მინდა რომ ვთქვა, რა იყო ნიკას ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი თვისება – ერთგულება!

მოვდივარ ნიკას დასაფლავებიდან, თავში ყველაფერი მიტრიალებს, კინოებს ვხედავ კადრებად. ჯერ ალბათ ვერც კი ვხვდები, რა დამემართა. რა დაგვემართა ყველას, ვინც ნიკას მეგობარია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები



შაბათს, 2018 წლის 8 დეკემბერს დიდი გულისტკივილითა და ღრმა მწუხარებით ვემშვიდობებით და ვაცილებთ სამარადჟამო სამყოფელისკენ საქართველოს დამსახურებულ არტისტს, ქ. თბილისის №19 ხელოვნების სკოლის საყვირის კლასის ღვაწლმოსილ პედაგოგს

ალექსანდრე (ოთარ) ქუთათელაძეს

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება კოლეგებისა და მოსწავლეების გულში.

მე-19 ხელოვნების სკოლის თანამშრომლები

ავთანდილ და ფრიდონ ჭუმბურიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლეილა ნიკოლეიშვილ-ჭუმბურიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

დის უბედურებით გახარებულმა საპატარძლომ საქმრო დაკარგა

საპატარძლომ საქმროს სიყვარული და ოჯახი მას შემდეგ დაკარგა, როდესაც სიხარული ვერ დამალა იმის გამო, რომ მისმა ფეხმძიმე დამ ნაყოფი დაკარგა.

საპატარძლოს ისტორია ანონიმურად უამბო ჟურნალისტებს ქორწილის ორგანიზატორმა. მისი თქმით, გოგონას ჰყავდა და, რომელიც სამი წლის განმავლობაში ვერ ფეხმძიმდებოდა, ხოლო როდესაც ეს ქორწილამდე ნახევარი წლით ადრე მოხერხდა, საპატარძლომ ის მაშინვე ამოშალა ქორწილის სტუმრების სიიდან.

რამდენიმე თვის შემდეგ ქორწილის ორგანიზატორი ისევ შეხვდა საპატარძლოს და მის დედას. მათი საუბარი ტელეფონის ზარმა შეწყვიტა. დედამ მოიბოდიშა და გავიდა, ის დიდხანს არ გამოჩენილა, ხოლო როდესაც დაბრუნდა, სახე ნამტირალევი ჰქონდა. ქალმა განაცხადა, რომ პატარძლის დამ დარეკა და რომ მან მკვდარი ბავშვი დაბადა. ორგანიზატორმა სიტყვები ვერ გამოძებნა დედის გასამხნევებლად.

სიჩუმე პატარძალმა დაარღვია:

– ოო, მაგარია, ვფიქრობ, ახლა უკვე მოახერხებს ჩემ ქორწილში მოსვლას, რახან ფეხმძიმედ აღარ არის.

ამის მოსმენის შემდეგ გოგონას დედამ ორგანიზატორს ცივად განუცხადა, რომ მის სამსახურს აღარ საჭიროებდა, ვინაიდან ქალიშვილის ქორწილისთვის ფულის გადახდას აღარ აპირებდა. საპატარძლო ატირდა და პანიკაში ჩავარდა, მაგრამ დედას გადაწყვეტილება ვეღარ შეაცვლევინა.

ქორწილის ორგანიზატორის თქმით, ორ დღეში გოგონას საქმრომ დაურეკა და განუცხადა, რომ მათი ქორწილი აღარ გაიმართებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 დეკემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6733

ევრო — 3.0305

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4052

100 რუსული რუბლი — 4.0045

ამინდის პროგნოზი 8 დეკემბრისთვის

თორნიკე ოქრიაშვილმა ისევ ტრავმა მიიღო

საქართველოს ნაკრების და კრასნოდარის ფორვარდმა თორნიკე ოქრიაშვილმა ისევ ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება მოედანზე. ოქრიაშვილმა ტრავმა როსტოვთან მატჩისწინა ვარჯიშზე მიიღო და სწორედ ამ მიზეზის გამო არ ითამაშა ამ შეხვედრაში. ოქრიაშვილს ტრავმები ხშირად აწუხებს და მან ამ მიზეზის გამო წელიწადზე მეტი გამოტოვა, თუმცა ის პერიოდულად მაინც ახერხებს კრასნოდარის შემადგენლობაში ლამაზი გოლების გატანას.

ოქტომბერში თორნიკემ მაკრატელა დარტყმით სევილიას კარი დალაშქრა.

პოლ სქოულზი: „ზიდანს მანჩესტერში გაუჭირდება“

პოლ სქოულზმა ზინედინ ზიდანის მანჩესტერ იუნაიტედის შესაძლო მწვრთნელობაზე ისაუბრა და თქვა, რომ ზიზუს ამ გუნდში გაუჭირდება, რადგან მას ყველაფერი თავიდან ექნება დასაწყები.

სქოულზის აზრით, ზიდანისთვის რეალში მუშაობა გაცილებით მარტივი იყო:

– ზიდანმა რეალში წარმატებას მიაღწია, მაგრამ იქ მას აწყობილი გუნდი და ძლიერი ფეხბურთელები დახვდნენ, მანჩესტერში კი ყველაფერი სხვაგვარად იქნება, რადგან აქ ზიდანს ყველაფერი თავიდან ექნება დასაწყები. მის ადგილზე ამ სამუშაოს არ დავთანხმდებოდი.

ბაიერნი ანტუან გრიზმანის შეძენას შეეცდება

წლევანდელი სეზონის ბოლოს ბაიერნს არიენ რობენი და ფრანკ რიბერი დატოვებენ და მიუნხენელები უკვე ეძებენ მათ შემცვლელს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბაიერნი ანტუან გრიზმანის შეძენას შეეცდება და მზად არის, ამ ტრანსფერში დიდი თანხა გადაიხადოს.

ბაიერნი ტრანსფერის განხორციელებას, სავარაუდოდ, ზაფხულში შეეცდება.

გრიზმანის ყიდვა უკვე სურდა ბარსელონას და კატალონიურმა გუნდმა ამის გაკეთება ვერ მოახერხა.

მაურისიო სარი: „არ ვიცი, გვარდიოლას როგორ მოვუგო“

ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო სარიმ განაცხადა, რომ მან არ იცის, როგორ მოუგოს გვარდიოლას, რადგან ჯერჯერობით მის წინააღმდეგ ყველა შეხვედრა წააგო. სარი იმედოვნებს, რომ ეს ტრადიცია შეწყდება.

– ჯერჯერობით გვარდიოლას წინააღმდეგ არაფერი გამომდის და მინდა, რომ ეს ტრადიცია შეწყდეს. იმედია ასეც იქნება, თუმცა კონკრეტული გეგმა არ მაქვს, თუ როგორ მოვუგო მანჩესტერ სიტის, – განაცხადა მაურისიო სარიმ.

ჩელსის და მანჩესტერ სიტის შეხვედრა შაბათს, 21.30 საათზე დაიწყება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კომბოსტოს საყიდლად წასული ქალი გამდიდრებული დაბრუნდა

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა ქალბატონმა კომბოსტოს წყალობით ლატარიაში ასეულობით დოლარი მოიგო.

ქალი მაღაზიაში კომბოსტოს საყიდლად შევიდა და იქვე მომენტალური ლატარიის ბილეთიც შეიძინა. დამცავი ფენის გადაფხეკის შემდეგ გათამაშების მომწყობის შტაბ-ბინაში მიწვევა ამოუვიდა და სადაც მას საპრიზო ბორბლის დატრიალება უწევდა. სწორედ ის განსაზღვრავდა მისი მოგების ოდენობას.

მინიმალური პრიზი 100 ათას დოლარს, ხოლო მაქსიმალური – ნახევარ მილიონს შეადგენდა. ქალის მიერ დატრიალებული ბორბალი 225 ათას დოლარზე გაჩერდა. იღბლიანი ქალბატონი დისნეი ლენდის პარკში წასვლას აპირებს, ხოლო დანარჩენი თანხის საპენსიო ასაკისთვის გადადებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, ცოლის მოყვანისთვის ჯერ საკმარისი გამოცდილება არ გაქვს.

– და როდის აღწევს მამაკაცი საკმარის გამოცდილებას იმისთვის, რომ ცოლი მოიყვანოს?

– როდესაც მიხვდება, რომ ცოლის მოყვანა არ ღირდა.

•••

ექიმი პაციენტს ეუბნება:

– თქვენი შემთხვევა, ძვირფასო, მედიცინას გაამდიდრებს.

– მე კი მეუბნებოდნენ, რომ მეძვირე ექიმი არ იყავით.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– შენი ხელფასის მოცემას არ აპირებ?

– დღეს არა, თავი მტკივა.

•••

დილით ადრე ახალგაზრდა მამაკაცი აფთიაქში შედის და გამყიდველს ეუბნება:

– თუ შეიძლება, უძილობის საწინააღმდეგო საშუალება მომეცით!

– რომელი გნებავთ?

– ფეხმძიმობის ტესტი.

•••

მდინარეში ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– აქ ყველანი საცურაო კოსტიუმებით ვართ და თქვენ კი რატომ ხართ შავი პიჯაკით, ჰალსტუხით და ქუდით...

– იმიტომ, რომ ეგენი ყველანი ბანაობენ, მე კი ვიხრჩობი!

•••

პარლამენტარმა ორი კაცი გაიტანა მანქანით. სასამართლოზე დაგვიანებით მისული მოსამართლეს ეკითხება:

– აბა რა ხდება?

– ერთს, რომელმაც მანქანის საჭარე მინა თავით გაგიტეხათ, 8 წელს მივუსჯით.

– რისთვის?

– ტერორისტული აქტი – ხელისუფლების წარმომადგენელზე თავდასხმა საკუთრების ხელყოფით.

– კარგია! და მეორეს?

– მეორეს, რომელიც ბუჩქებში გადავარდა, 12 წელს მივცემთ.

– პირველზე მეტს? როგორ?

– დანაშაულის ადგილიდან მიმალვის მცდელობისთვის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ლატარიაში გამარჯვებულმა პენსიონერებმა არ იცინან, ფული როგორ დახარჯონ

ლატარიაში მსხვილი თანხის მომგები შოტლანდიელი პენსიონერი წყვილი ფულის მომჭირნედ ხარჯვას და ჩამოფასებული საქონლის შეძენას ვერ გადაეჩვია.

ფრედ და ლესლი ჰიგინსებმა აგვისტოში ლატარიის ევრომილიონის გათამაშებაში ჯეკპოტი მოხსნეს და 58 მილიონი ფუნტ სტერლინგის მფლობელები გახდნენ. თუმცა 67 წლის ფრედს და 57 წლის ლესლის ფულის მაშინვე ხარჯვა არ დაუწყიათ. მათი ყველაზე ძვირფასი შენაძენი მდინარის პირას მდებარე პენტჰაუსი გახდა, რომელშიც 430 ათასი ფუნტი გადაიხადეს. ასევე წყვილმა იყიდა აუდი ა5 და ბმვ, თუმცა ამავე დროს თავიანთი ძველი ვოლვოც დაიტოვეს. ისინი საზღვარგარეთ მხოლოდ ერთხელ იმყოფებოდნენ, მალტაზე ნათესავების ქორწილში ჩაფრინდნენ.

რამდენიმე თვის შემდეგ ლესლიმ აღიარა, რომ ვერაფრით გადაეჩვია პროდუქტების კვლავაც ფასდაკლებით შეძენას და მაღაზიების ფასდაკლების ბარათებით სარგებლობას.

– მივეჩვიე, რომ შევარჩიო ჩანთა ან ფეხსაცმელი, დაველოდო ფასდაკლებას და მხოლოდ ამის შემდეგ შევიძინო. ეს ღრმად მაქვს თავში ჩანერგილი და აღბათ ჩვენ ასაკში ჩვენი შეცვლა უკვე შეუძლებელია, – განაცხადა ლესლიმ.



ძველმანების ბაზრობაზე ნაყიდი სურათი 400-ჯერ ძვირად გაიყიდა

ნიდერლანდების მკვიდრმა აუქციონზე ცნობილი მხატვარის ტილო გაყიდა, რომელიც ძველმანების ბაზრობაზე უმნიშვნელო თანხად შეიძინა. ჰენკ ლაარმანსმა ნახატში სოფლის პეიზაჟი 75 ევრო გადაიხადა. მან იეჭვა, რომ ძველი სურათი მარჯვენა ქვედა კუთხეში მონოგრამით „ა“ შესაძლოა უფრო ძვირადღირებული ყოფილიყო და ის ხელოვნებაზე ტელეგადაცემის ექსპერტს აჩვენა. სპეციალისტმა გაარკვია, რომ ნახატი მე-20 საუკუნის დასაწყისის ჰოლანდიელ მხატვარ იოჰანეს აარტს ეკუთვნოდა. აუქციონზე სურათის ფასი 400-ჯერ გაიზარდა და 30 ათას ევროს გადააჭარბა. ბოლო ფსონს ნიდერლანდელი მსხვილი კოლექციონერი ჩამოვიდა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა. აუქციონის წამყვანი სოფლის პეიზაჟს ვან გოგისა და მონდრიანის ნამუშევრებს ამსგავსებდა.

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 2. სოფლის ორღობე; 3. ინდოეთის ეროვნული გმირი; 4. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი, ნავსადგური თურქეთში; 6. ბრტყელი ლოკოკინა; 7. ბელგიური ავიაკომპანია; 13. ქვის დიდი ლოდებით ნაგები ძველებური აკლდამა; 14. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმსაზღვრელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 15. შოტლანდიელი მათემატიკოსი, ლოგარითმების შემქმნელი; 17. სხვადასხვა ნაკეთობების ზედაპირის გასაპრიალებლად გამოყენებული, მსუბუქი ფოროვანი მინერალი; 18. მინერალური წყალი სამეგრელოში; 20. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში.

თარაზულად: 1. წმინდად დაკეპილი ხორცის, თევზის და სხვა პროდუქტებისგან მომზადებული საუზმეული; 5. წნული ქოხი სამეგრელოში; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 8. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 10. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი; 12. იზოლირებული ელექტროსადენი; 16. კიევის მერი; 11. ფულის ერთეული ვიეტნამში; 17. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა; 19. ქართული ფული; 21. სატუსაღო ძველ თბილისში; 22. საბავშვო ქალაქი თბილისში; 23. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 24. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა